

6994

საქართველოს
საბჭოთაო ბიბლიოთეკა

F 75
1917

საქართველოს საბჭოთაო ბიბლიოთეკა

საქართველოს
საბჭოთაო ბიბლიოთეკა



1917



თბილისი, № 1.

მთავარი ტიპოგრაფია



„სახალხო ფურცელი“

სურათებიანი დამატებით წელიწადში 15 მანეთი ღირს.
ნახევარი წლით 8 მანეთი, სამი თვით 5 მანეთი.

წლიური ფასის შემოჭანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერის დროს 7 მან. ჰირველ აპრილისთ-
ვის 4 მანეთი და 1 აგვისტოსთვის 4 მანეთი.

კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან
ნაშუადღევს 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცელი“
სასახლის ქუჩა № 6 Тифлисъ, редакция „Сахалхо Пырцели“
поч. ящ. 190.

„სახალხო ფურცელ“-ში მონაწილეობას იღებენ:

აბაშიძე კიტა, აბაშიძე კოკი, აბაშიძე მუშედი, აბესაძე ავ., ავლაძე ი.,
აზიანი ნ., ბაქრაძე იას., ბუბიაშვილი რომ., ბერიძე ვუგოლ, ბედე-
ფანიშვილი იოს., გველეხიანი გრ., გოგოლაშვილი ი., დადიანი სიმ.,
დუბროვსკი ნ., თაყაიშვილი კე., კოტეტიშვილი ვახ., ლასხიშვილი
გ., ლაღიძე გრ., მაყრა, მეგრელი დუტუ, მირიანიშვილი ზ., რო-
ბაქიძე გრ., შანავა ავ., რაჭველი ქრ., რცხილაძე გრ., სიტყვა, სან-
განიძე, უზნაძე დ., ფანცხვა ი., ფაღავა ავ., ღლონტი თ., ვიფ-
შიძე ი., წერეთელი ალ., ჭუმბურიძე გ., ზრ.-დ. ჭავჭავაძე ივ.,
ჭანელიძე ალ., ჭაფარიძის თეოდოსია, ჭაჭანაშვილი არ., და სხვა.

დამატებაში. ბარნოვი, ბაჩანა, გრიშაშვილი ი., დადიანი შოთა,
ღიბელი დ., მგალობლაშვილი ს., მღვიმელი შ., მჭედლიშვილი ი.,
რაზიკაშვილი თ., სიღოფანა, ფაშალიშვილი ს., ქიანელი ლეო, ჭი-
ჭინაძე გ., ჭუმბაძე ა., ჯორჯიკია ჯ., და სხვა.

ნაკადული

სამხატვრო-მეცნიერული
საზოგადოებრივი
საქონალი.

წელიწადი 80-XIII.

№ 1.

1917 წ.



F-5814

გაიკითხეთ.



შინაარსი

I—გაიკითხეთ, —სურათი	1
II—ახალი წელი, —ლექსი ა. სახარუღაძისა	3
III—ბედნიერების მოლოდინში, —სევედასა	5
IV—გრძელ უღვაშს ამბავი, —ცქეატასა	13
V—ზამთარი, —ლექსი ვ. რუხაძისა	23
VI—პირიმზე, —ზღაპარი ვაგო ხათაძისა	25
VII—ნოზრევან მეფე ღ მისი ოცი ვაჟი, —გალექსილი ხალ- ხური ზღაპარი გ. თემისხვეულისა	35
VIII—საურთიერთო დახმარება, —კ. კრ—ინიდან, ილია ნაკაშიძისა	53
IX—გასართობი: —ძველი ამბავი და რებუსი	64



ახალი წელი

(ბავშვებს)



ხალ წელს მოგილოცავთ,
ჩემო სულის სწორებო:
იფრთხილეთ, ილხინეთ,
ცელქნო, თმა-ქოჩორებო.

კაეშანის ბრკალები
თქვენ გულს არ ეკარება,
თქვენ თვლებში გამოკრთის
სიცოცხლის ნეტარება;

თქვენი წრფელი ღრმული
ცხოვრების რიერაჟია;
თვალთა ცელქი ცქრიალი
მზიურ სხივთ ლაელაჟია;

ამიტომაც, გვრიტებო,
თავი შემოგაფარეთ:
ათასჯერ დაგმობილი
ყოფნა თქვენ შემაყვარეთ;



მუდამ თქვენთან ვიქნები,—
 სხვა ვინ მიძმობს ეუღლსა,—
 მხოლოდ თქვენთან დავფურცლავ
 ჩემ სიცოცხლის რვეულსა.

ახალ წელს მოგილოცავთ,
 ყველას გეამბორებით,
 აღიზარდეთ, ბავშვობას
 მხოლოდ ნუ მოშორდებით,

თუ რომ გინდათ დაიხსნათ
 ქვეყანა შავ-დღიანი,
 აღიზარდეთ, იყავით
 ბავშვი—ადამიანი.

ა. სიხარულაძე





ბენიერების მოლოდინში

(ხაშვილი ამაყი)



ობის წინა დღე იყო. თოვლის სუბიმი
 გახვეულ პატარა სოფელს დღეს რაღაც
 სიციცხლე და გამოფხიზლება შემწნოდა:
 დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, — ყველა
 არა-ჩვეულებრივ ფუსფუსში იყო. კონკე-
 ში გახვეული გლეხი დღეს თითქოს გაპკლავებოდა ზამთრის
 სუსხს და რაღაც გულადად, რაღაც გაბედულად მიგშვიტა
 მკერდი ზამთრის სისხლის გამყინავ ბრკვალებისთვის. სახე-
 გაბრწყინებული, წელში გაშლილი მიდი-მოდიოდა იგი. რა-
 ლაც სხივს საიმედო მომავალისას წაეშალა მის სახეზე საუ-





კუნოებით აღბეჭდილი მონობის კვალი. ეს საიმედო მომავალი კი იყო ზვალინდელი დღე! დიახ: ზვალინდელ დღეს იშვა მისი პირველი მეგობარი, ზვალინდელ დღეს დაიბადა ის, ვინც პირველმა ჩაიხედა ჩაგრულთა გულში და დაინახა იქ შეგუბებული ნაღველი! ის, ვინც პირველმა აღიმალლა ხმა ჩაგრულთა დასაცველად და ამხილა ძლიერთა ამა ქვეყნისათა მათი საზიზღარი საქციელი. დიახ! ქრისტეს დაბადების დღე რაღაც სხივოსან ვარსკვლავად ველინება ჩაგრულთა ცხოვრების კაბადონზე და ამისთვისაც ყველა. ვინც კი ცხოვრების უკუღმართ კანონების მიძიმე უღელს ატარებს, რაღაც სასოებით, იმედებით აღსაესე ვგებება ამ დღეს.

ზვალინდელი დღის მოლოდინმა პატარა სოფელ ა—ს სადა ცხოვრებაშიც შეიტანა სიცოცხლე და ეს უფერული ცხოვრებაც მიმზიდველ ფერადებით შემოსა: გამოაცოცხლა, აახმაურა. დიდების ხალისიან გადაძახილ-გადამოძახილს უერთდებოდა კონკებში გახვეულ პატარა გლეხი-ბიჭების წკრიალა ხმა. ისინი, აქა-იქ ეზოებში შეკრებილნი, სიცვიისგან ვალურჯებულნი, მაგრამ სახე-გაბრწყინვებულნი ზარივით აწკრიალებდნენ „ქრისტეს შობა გიხაროდეთ,—მადლი მახარობელსაო“! ისევ სისხამი დილა იყო, მაგრამ ისინი კიდევ აერია-მულებულიყვნენ; იცოდნენ, საღამოთი, როცა დიდები დაიწყებდნენ „ალილოზე“ სიარულს, მათ ყურს აღარავინ ათხოვებდა. სამაგიეროდ სოფლის ახალგაზდობა ყველა საქმისკენ მიეშურებოდა, რომ საღამოსთვის ყველა მოკლილი ყოფილიყო და ტოლ-ამხანაგთან ერთად სიმღერით და ყიყინით მოველოთ ახლო-მახლო სოფლები.

სოფლის ბოლოს მდებარე შარა გზაზე, კარგა დიდ მანძილზე გამწკრივებულიყვნენ ტყისკენ მიმავალი შემოსის ურმები. ახალგაზდა ბიჭები ხალისიანად მიერეკებოდნენ საქონელს და თან მზიარულად ერთმანეთს ეხმაურებოდნენ. არჩევდნენ, რომელი მახლობელი სოფლები მოველოთ საღამოზე და როგორ გაეტარებინათ ზვალინდელი დღე.



— ბიკო, თედო, ხომ წამოხვეალ საღამოს „ალილოზე“^{*)} გამოცხმაურა ერთი ახალგაზდა ბიკი მეორეს, რომელიც, ურმის კოფოზე ჩამომჯდარი, რაღაც ფიქრს წაელო და ამ საერთო მზიარულებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა: თითქოს ამ საერთო მოლოდინში, ამ საერთო სიხარულში ის მაინც არავისთვის კარგს არას ელოდა.

— ჰაა!— გამოცხმაურა ფიქრიდან გამორკვეული თედო:— მე, არ ვიცი, ძმაო! ბატონი ამაღამ ბევრ სტუმრებს ელის; თუ მოვიდნენ, არა მგონია, რომ მოვიცალო.

— რას ამბობ, თედო: როგორ იქნება, რომ არ წამოხვიდე. მაშ პირველს ვინ იტყვის? სტუმრები მოვიდნენ, — რა, ენდე ხარება*) ხომ შინ იქნება! — მიუთითა პატარა ბიკზე, რომელიც წინ ხარებს მიერეკებოდა: — ერთი მოსამსახურით იოლას წავიდნენ; შენ კი დაეთხოვე: ბედნიერი დღეა; განა იმათ არ იციან?

— განა ჩემთვის კი არ არის ბედნიერი დღე? მე კი ვერ წავალ „ალილოზე“, — მიუგო წყენით პატარა ბიკმა.

— არა, ჩემო ხარებ, ამაღამ თედო დაითხოვე: ხატრი შეუნახე; და ხვალ რომ ამაღამინდელ შეკრებულ ფულით სადილს გავმართავთ, შენც დავპატიებთ და ერთი კარგა გაქეფებთ.

— მე რა დავითხოვო, მე რა? ბატონმა თითონ იცის, — მიუგო ხარებამ და თან გაჯავრებულმა ხარებს შოლტი გაუტყლაშუნა.

— არა, თედო, უნდა წამოხვიდე: როგორ იქნება? ჩვენებიანთ თამრომ შენი ხმა რომ არ იცნოს, ამაღამ „მეალილოებში“, ხომ მოკვდა კიდევ. ახლა ნახე, რო მივალთ იმათ კარზე, როგორ ზარივით ჩააწკრიან: „ოცდა ხუთსა ამ თვესაო ქრისტე დაბადებულაო“!

*) ბიკის სახელია.



— მე რა? მე რაღაში ვეკითხები? ახლა სხვისი ხმის გავონება უფრო გაახარებს, — მიუგო თედომ გულის ტკენით.

— რა გაჯიუტებაა შენგან, თედო? მიდი, კაცო, ზე-სი-ძედ: შენც ერთი ობოლი ბიჭი ხარ; თამროს მამისაც ვაფი არა ჰყავს. ღმერთმანი, თედო, ნამდვილ მამობას გაგიწევს. არ არის ურიგო კაცი. შენც მშრომელი ბიჭი ხარ, და ერთ-ორ წელიწადში ჩვენ სოფელში თქვენ ბევრი არ გემჯობინებათ.

— ეჰ, ჩემო ძმაო, ადვილად ამბობ! შენ არ იცი — რა არის სხვის თავალ-წარბში ცქერა. ხუთი წლიდან დაწყებული, აი ოცდაერთი წლისა ვარ, და ეს დრო სულ სხვის მონობაში გამიტარებია. მომბეზრდა, ძმაო, სხვის მონა-მორჩილება: მინდა ახლა თავისუფლად ამოვისუნთქო; მინდა ჩემი თავის უფროსიც მე ვიყო და უმცროსიც! ღვთის მადლით, რაც ჩემს ობლობას შეეფერება, გამოვაკეთე ჩემი საქმე: ვენახი დავიხსენ, როგორი სახლი წამოვიკიმე! მთელი ჩემი მოჯამაგირობით შეგროვილი ნაწვავ-ნადაგი სულ შიგ ჩავყარე. რომ გავივლი და დავინახავ, ასე მგონია — ქვეყანა ჩემია-მეთქი. დღეებსა ვთვლი, როდის მოვრჩები სხვის კარზე ხეტიალს და ჩემ საკუთარ ქოხს შევაფარებ თავს. არა, ძმაო, არა, უფროსს ველარ გავიჩენ: ოჯახი მინდა, ოჯახი, სადაც ჩემი თავის ბატონ-პატრონი მევე ვიქნები.

ამ სიტყვებზე შესწყდა მათი საუბარი და თედო ღრმა ფიქრს მიეცა, ამ ლაპარაკმა მის წინ გადაშალა მთელი მისი ტანჯული წარსული.

ოთხი წლისა იყო თედო, როცა მამა მოუკვდა. მას შემდეგ თედო ბევრჯელ ცდილა აღედგინა თვის მესხიერებაში მამის სახე, მაგრამ ტყუილად! თედოს მამა არ ახსოვდა. თედოს დედამ მხოლოდ ერთი წელიწადი იგლოვა ქმარი, და წლის თავზე კი იმავე სოფელში ერთ შეძლებულ გლეხკაცს გაჰყვა ცოლად. ასე დაინგრა თედოს მამის ოჯახი და პატარა თედოსაც მოესპო საკუთარი კერა.

ხუთი წლიდან თორმეტ წლამდის, ვინ მოსთვლის, რამდენი მწარე დღეები გამოიარა პატარა თედომ მამინაცვლის ხელში. რამდენჯერ მიბეგვილს, ხორცებ-დალურჯებულს საბძელში სადღაც ბზეში ჩამძვრალს ცხარე ცრემლებით გაუთენებია ზამთრის ღამეები; მეორე დღეს კი ისევ ჩუმის პირით შესდგომია მამინაცვლის ბრძანების ასრულებას.

თორმეტი წლისა იყო, რომ გადასწყვიტა თავის თავის-თავის როგორმე მოეგლო და მამინაცვლის ხელიდან როგორმე განთავისუფლებულიყო. ერთ მშვენიერ დღეს მოიკიდა ზურგზე თავისი დაკონკილი ფარაჯა და გაუდგა გზას. მხოლოდ ერთი თვის კითხვა-ძიების შემდეგ ძლივს მიაგნეს მის კვალს ერთ სოფელში, ორი დღის სავალზე თავის სოფლიდან. ერთ შეძლებულ გლეხს დასდგომოდა მეძროხედ. ვერ გასტრა ვერც დედის ხვეწნა-მუდარამ, ვერც მამინაცვლის მუქარამ: არ იქნა-თედო აღარ დაბრუნდა სახლში. იმ დღიდან დაიწყო თედოს ერთი ოჯახიდან მეორეში, მეორიდან მესამეში გადასვლა-გადმოსვლა, და სადაც კი დადგა მოჯამაგირედ, თავისი მორჩილი და საქმის მოყვარული ხასიათით ყველას სიყვარული დაიმსახურა.

ეს ხუთი წელიწადია, რაც თავის სოფელში დაბრუნდა და ერთ შეძლებულ აზნაურს, თავისავე ნაბატონარს, მოჯამაგირედ დაუდგა და პატიოსანი, ერთგული სამსახურით მალე მთელ ოჯახს შეაყვარა თავი. ისინიც გულწრფელ მზრუნველობას უწევდნენ და მათივე დახმარებით შეისყიდა გაყიდვა-გამოყიდული თავისი პატარა მამული და წამოჰკიმა ორ-ოთახიანი კოხტა ფიცრული სახლი. ახლა კი გადასწყვიტა თედომ გაეთავებინა კარი-კარ სიარული და თავისი პატარა ოჯახი მოეწყო.

აი, ახლაც, როდესაც ფიქრში გაურბინა მწარე წარსულმა, მაცდურმა ოცნებამ გადაუშალა საიმედო მომავალი და ათასნაირი მიმზიდველი ფერადებით მორთო და ააქრელა.

თუ წარსულის მოგონებამ ბევრ მწვევე იარას შეახო მის გულში ხელი, სამაგიეროდ მომავლის იმედმა და მისმა მზიბლავმა სურათებმა ბევრჯელ გააბრწყინა მისი სახე და ზედ კმაყოფილების ღიმილი აღბეჭდა.

თედომ დასტოვა სინამდვილის სამეფო და ოცნების ზღვას მისცა თავი.

აგერ ის უკვე სრული ბატონი და პატრონია თავის თავისა. შობის წინა დღეა. ბედნიერ დღეს ის უკვე თავის პატარა ოჯახშია. ეგებება მისი ახალგაზდა მეუღლე, (რა თქმა უნდა — თამრო), მას გვერდით არა ჰშორდება და ორივენი დიდ ფუსფუსში და მზადებაში არიან, რომ ღირსეულად დაჰხედნენ ამ სასიხარულო დღეს. სახლი ყველაფრით საესე აქვთ. რაში ჩამორჩება თედო თავის მეზობლებს? ხეალ მასაც ვითომ წვეულება აქვს: უნდა თავისი პატარა ოჯახი დაალოცვინოს მეზობლებს და თანაც თავი მოიწონოს მათ წინაშე: ნახეთო, ობლობის მძიმე უღელი დიდხანს ვზიდე, მაგრამ ჩემის შრომით და სიყოჩაღით შაინც შეეძელ ფეხზე დადგომა და ხალხში გარეგაო.

მზე უკვე ჩავსენა მთის იქით, და მისი უკანასკნელი სხივები აქა-იქ მთის მწვერვალებს ღა შერჩენოდა. სოფელში დიდი მოძრაობა შეიქნა. სიცივისგან გაფიცებული ხალხი ახლა თითქმის სირბილით მიდი-მოდიან. მათ ხმაურობასთან შეერთებული დასაკლავად გამზადებულ გოქების ჭყვილი და ფრინველთა ხმაურობა აპობდა ჰაერს და შორს სივრცეში იფანტებოდა.

— სოფლის შუა ალაგას, ერთ დიდ მოედანზე ბლომად მოეყარა თავი სოფლის ხალხს და გაფაციცებით უგდებდნენ ყურს ხარებას ღაპარაკს, რომელიც ტირილისგან დაოსებუ-ლი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოუთხრობდა უბედურ შემთხვევას.

— მერე, ბიჭო, მოკვდა, მოკვდა? — ეკითხებოდა შემოთებული ბატონი.

— დიახ, მაშინვე... მოკვდა... წყალიც... ველარ მოვასწარ... მიმეტანა — სლუკუნებდა ნაწყვეტ - ნაწყვეტ ხარება.

— როგორ მოხდა, როგორ: გვიამბე ერთი, — ეკითხებოდა მეორე.

— აი, იქ.. დიდ დაღმართზე ჩამოგვექონდა... ურემი. ჩამოვიდა, წინ ჩამოუძღვია... ურემი დაქანდა... კამეჩებმა თავი ველარ... დაუქირეს... ნიკორამ ფარაჯაზე ფეხი დაადგა და ველარ მოახერხა გამოეცალა... ურემი დაქანდა და ქვეშ წაიგდო. თვლებმა ზედ წელზე... გადაუარა... ერთ წუთში... სული... გაქრა... — დაათავა ტირილით ხარებამ.

ამ ამბავმა ყველანი გულწრფელად შეაწუხა. დედა-კაცებში ქვითინი გაისმოდა. კაცებიც გულით ნანობდნენ უბედურ შემთხვევის მსხვერპლს — ახალგაზდა თედუას. — ვაიმე, ვაიმე, თავო დაღუპულო! აფსუს, ბიჭო, აფსუს! — იმეორებდა თედუას ბატონი და თან თვლებზე მომდგარ ცრემლებს იწმენდა.

— აბა, ბიჭებო, რაღას ველით: ურემი უნდა წავიღოთ, — სთქვა ბატონმა და სახლისკენ გასწია. ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა. ყველა თავის გზას გაუდგა.

ბინდი იყო. თედუას სახლს ნელ-ნელა უახლოვდებოდა ურემი, რომელზედაც ფარაჯა-გადაფარებულ თედუას უსულლო გვაში ესვენა. ურემს თან მისდევდა თედუას ბატონი და სოფლის ახალგაზდობა — თედუას ტოლ-ამხანაგნი. ეზოში დედაკაცებს ძლიერ ეკავათ თედუას დედა; მისი წივილ-კივილი რაღაც თავზარდამცემად ეფინებოდა არეს და მსმენელს ცოდვით აესებდა.

თედუა შეასვენეს თავის წვა-დაგვით მონაგარ სახლში, რომელშიც შესვლას ოცნებობდა. ტოლ-ამხანაგნი გულ-ჩა-

თუთქულნი დასცქეროდნენ თედუას გაცივებულ გვამს. მახლობელ სოფლებიდან მთელ ღამეს ისმოდა სიმღერა—ყიჟინი „ალილოზზე“ მოსიარულე სოფლის ახალგაზღობისა. მხოლოდ სდუმდა პატარა სოფელი ა—რი; მის ახალგაზღობას თავი მოეყარნა უდროოდ დაკარგულ ამხანაგის უბედურ სახლში და მის გაცივებულ გვამს ჰყარაულობდა.

სევდაა.





გრძელ-ულვაშას ამბავი



არმოიდგინეთ, ჩიბუხი, იმისი მშვენიერი, ჯონჯლის ხის ჩიბუხიც კი იქვე მის გვერდით ისე ეგდო, რომ ზედ არც კი დაუხედია. მერე რა კოხტად იცოდა კომლის გამობოლება!..

ის რომ დიდკაცურად სადმე თხილისა, ან შინდის ძირას ფეხი-ფეხ-შემოდებული მიჯდებოდა და ჩიბუხს მოიმარჯვებდა—სწორედ ერთ შეხედვათ ღირდა. თან კი აქეთ-იქით თვალებს ისეთნაირად აცეცებდა, თითქოს ეს არის წამოხტება—სადმე გავარდებოა.

მართლაცა და დიდი ოინბაზი რამ იყო ეს ჩვენი გრძელ-ულვაშა. მთელ სათაგვეთში იმას ბადალი არაფინა ჰყავდა.

სადმე ტყეში ფოთოლი შეინძრეოდა თუ არა—ის მზად იყო, რომ ძირს ჩამოვარდნილი თხილი, ან კაკალი, ან პანტა ზურგზე მარდათ მოეგდო და სოროსაკენ გამოექანებინა. მთელი დღე ისე ირჯებოდა, ისე ზრუნავდა და ისეთ ალიაქოთში იყო, რომ ყველა მას დანატროდა.

მერე ოჯახიც რა მშვენიერად ჰქონდა გამართული! რა გინდა სულო და გულო, რომ იმის დარბაზში არ მოიბოგებოდა. სახლი ყოველგვარი დოვლათით ჰქონდა საფხე. აქეთ



კუთხეში რომ ზვინი იდგა გოგრის გულისა, იქით სიმინდის მარცვლები მთასავეით წამოეგროვებინა. ახლა კაკალი, წაბლი, პანტა—ერთი სიტყვით, დიდი და აუარებელი სარჩო-საბადებელის პატრონი იყო. ასე წარმოიდგინეთ—ძველი კალოშების ნახევი რა არის, და ისიც კი იქ შეეთრია, იმ განზრახვით, რომ თუ იმის ოჯახს საცევები როგორმე შემოაკლდებოდა და შიმშილობა ჩამოვარდებოდა, ცივ ზამთარში რეზინის ღრღნა მშიერ კუქს დიდ შეღავათს მისცემდა.

დიახ, ასეთი დოვლათიანი გახლდათ ჩვენი გრძელ-უღვაშა, და აქი მთელ ქალაში ყველას მაგალითად ჰყავდათ მიჩნეული.

— არა, გენაცვალე! მეტის მეტი თავ-გადაკლულია ჩემი ქმარი თავისი ოჯახისათვის. იმისთანა მარიფათიანია, იმას შემოეველოს ჩემი თავი, რომ პირდაპირ დაუფასებელია. რასა ბრძანებთ, ის რომ ერთი დღე სახლში არ დავიგულოთ, ნიაღვარი მოვარდებოდა და დედიან-შვილებიანათ თან წაგვიღებდა,—იკვებოდა მისი მეუღლე კუდა-ბზიკა მეზობლებთან და ამითი ყველას თვალებს უბრმავებდა. ბევრჯელ იმათ კარის მეზობელ თომა თავისი ჯალაბს ქმართან ჩხუბი რომ მოუვიდოდა, უწინ ამას წააყვედრიდა და ამით მოსჭრიდა ხოლომე კბილსა:

— შენ ნუ მამიკვდები, ძალიან თუ იდიდგულე-ერთი სიტყვით ჩვენ გრძელ-უღვაშას კი არა ჰგავდე!! იმისი დოვლათი და შნო კი არა გქონდეს, რომ ლამის შიმშილით ამოგეწყვიტო, შე უბედურო, შენა

ამას გაწიწმატებული მიამახებდა; შემდეგ რომელიმე ხის გველივით დაკლაკნილ ფესვზე ჩამოჯდებოდა, ყალამქრის თავშალს თვალებზე ჩამოიფხატებდა და ახლა გულ-ამომჯდარი ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოჰყვებოდა:

— ღმერთმა მიცოცხლოს მამა-ჩემი... ამ ზამთარს რომ მზითევში გამოყოლილ მზეუქვრიტას არ გამოვეყვანეთ, ახალ

პატარძალს შიმშილით ფეხებს გამაფშეკინებდი, შე უჭებელა, უბედურო, შენა!

ერთი სიტყვით, თუმცა თომა თავის ოჯახიც შეძლებულად ითვლებოდა იმ ქალაში, მაგრამ რაკი იქვე ახლო გრძელ-ულვაშის სიმიდრე ყველას თვალებს უყენებდა, ამისათვის ვერც თომას ცოლს მოენელებინა სხვის სიკეთე და იყო მუდამ დღე ომი და ორონტრიალი.

მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ყბად აღებულნი და წყალ-წალღებულნი. ჩვენ გრძელ-ულვაშისაც სწორედ ასე მოუვიდა.

თუმცა ისიც კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ წუთი სოფელში სარჩო-საბადებელს მხოლოდ ის იძენს, ვინც ან დიდი ჰკუი-სა და მოხერხების პატრონია, ან გაიძვერა ჭურდ-ბაცაცაა, ან კი იმისთანა მსუნავი და ხარბი, როგორც ჩვენი გრძელ-ულვაშა გახლდათ.

მსუნავი იყო, და აკი კიდევ მოხვდა...

აქო და მეველეს ცოლმა სიღონიამ გემრიელი ჩურჩხელები შეინახაო, — დღე და ღამე მოსვენება აღარა ჰქონდა. იმდენი ისუნსულა, იმდენი თავში კოხიანი ქვა იცა, სანამ იმის კიდობანს მიაგნო და ძირი გამოულრღნა.

მაგრამ ყელის ჩაკოკლოზინაგება რომ აღარ დასცალდა!

ერთ ბნელ ღამეს მან თავისი წერაქვითა და ბურაოთი კიდობანს ფხაკა-ფხუკი აუყენა. სიღონია ფეხ-აკრფით ადგა, კრაქი ანთო და დიდი კუნძი მოიმარჯვა.

სანათის შუქზე ჩვენ დურგალს გული საშინლად აუძაგდა. ჯერ კი ცოტა ხანი გაყუჩდა, ყური დაუგდო, მაგრამ რაკი იგრძნო, რომ თავს რაღაც ამბავი ატყდებოდა, ბარემ ფიცხლავ მოცოცხა; მაგრამ მშვიდობიანად მაინც რომ ველარ გაასწრო. იმ დალოცვილმა სიღონიამ ისე მოხერხებულად სცხო ის კუნძი, რომ საწყალმა გრძელ-ულვაშამ წელი ძლივსლა აითრია და კარებში ძლივსლა გამოძვრა.

ის იყო და ის დღე; მას უკან ლოგინად ჩავარდა და მტრის ყბად ასაღებად შეიქმნა. მთელი ნახევარ გვერდი ისე ჰქონდა დამონავებული, რომ ხეირიანად ვეღარ იძროდა.

ბარემ იმისმა მეუღლემ ბევრი იახო დააკრა, ბევრჯელ შელოცვილ წყალში გალესილი ჯავზები დაალევინა, მაგრამ თქვენი მტერი, რომ იმას არა ეშველა-რა.

ჯერ კი, სანამ იმისი ავადმყოფობა ოჯახისათვის ახალი ამბავი იყო, მანამდისინ იცოცხლეთ, რომ ცოლიდან დაწყობილი უმცროს შვილამდე გალექსილნი სულ თავს ევლებოდნენ; შემდეგ რაკი დაატყეს, რომ იმას აღარა ეშველებოდა რა, ყველანი უცებ შემოეთანტნენ: ჯერ შვილები გაიქცვამოიქცნენ, შემდეგ ცოლმაც თავშლის წვერით მწუხარების ნიშნად პირი აიხვია, გულ-ხელი დაიკრიფა და ქმარს მიმართა:

— რა ექნა და რა წყალში უნდა ჩავარდე, როდემდის უნდა ეწვალო ეგრე! წავალ და მკითხავს ვაკითხვიანებ: ის მაინც გაგვაგებინებს—რა ამბავია შენს თავსა. იქნებ მაკრიანიანთ საღვთიმშობლოდ შენახულ ერბოს ჭილას რომ მოუღებინე, იმის მიზეზი გამოგივიდა, ან ი თევდორე ღვთის სეფისკვერი რომ დაღრღენი, იმის ბრალია, რა ვიცი!—ე ჩვენ კი ყურებ-წყარილები ვართ, რაღასაც ველით, და კი ვერა გვეშველა-რა!..—უთხრა წუწუნით მეუღლემ, თან ავადმყოფს საბნად წახურული თრიმლის წითელი ფოთოლი გაუსწორა და ქალისაკენ გამოსწია.

ის იყო და ის დღე; მას უკან მისი გულშემატკივარი ცოლი თვალით არა სჩვენებია. ის კი უღონოდ იწვა ხის ძირას და გაყვითლებულ ქალას ყველასაგან მიტოვებული საცოდავად გასცქეროდა. ბარემ ბევრჯელ გზისაკენ მიცქერაღმა მდუღარე ცრემლი დაღვარა; მაგრამ ცრემლები რას უშველიდნენ. იყო ღვთის ამარა მიგდებული და იმოდენა ნა-

თესაობისა და მეზობლების პატრონს ახლა ისეთი გულშემატკივარიც კი არ მოეპოვებოდა, რომ ღვთის გულისათვის ღამე სორომდე მიეყვანათ, სიცივისა და ნესტისაგან როგორმე გადაერჩინათ.

კაი ხანს ასე ივაზება. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენმა მწვანე ფიქრმა და ნალველმა სული არ გაუმწარა, მაგრამ სიკვდილი კი ჯერ არსადა სჩანდა, რომ ცოტაოდენი მაინც დაესვენებინა.

ერთ წყნარ და მოლხენილ დღეს, როცა ქალა, სოფლელ პატარძალსავეთ წითელ-ყვითლად მორთული, შემოდგომის მზის ალერსს თითქოს უფრო გაენაზებინა, გრძელ-ულვაშა და მუნჯებულ ქალას სევდიანი თვალით გასცქეროდა და თავის ცოლ-შვილზე იმდულრებოდა, უცებ წითლად შებუნზლულ კუნელის ჯაგიდან მუსიკის ხმა მოესმა. მან იქითკენ გაიხედა და დაინახა, რომ იქ დიდი ქორწილი იყო გაჩაღებული.

ურწყაველ მწვანე კალიას წაფუზრელი ლურჯ-ქათიბა კოხტა კალია ეთხოვა და გახარებული დიდ ზეიმს ეწვოდა. სტუმრებიც აუარებელი ჰყავდათ. ვინ იცის რა მიღეთის ხალხი და დიდკაცობა არ იყო მიბატიყებული. წითელ-ზურგა ქიები, როგორც მარჯნის კრიალოსანი, ისე იყვნენ სუფრაზე ჩამწკრივებულნი; მათ მხარს ხარაბუზები უმშვენებდნენ. მეორე მხარეზე მალალ წოდების კიანჭველები ჩამობრძანებულიყვნენ; აქეთ კი ყვითელ სარტყელ-გულისპირიანი კრაზანები ოხუნჯობდნენ.

ათასნაირად მორთული ახალგაზდობა ცეკვასა და ლხინში იყო გართული; დანარჩენნი კი მდიდრულად გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ და სმეულობა გაეჩაღებინათ. სუფრის თავში თამადას გვერდით კრიჭინას თავისი კიანური მოემართა და ეშხში შესული ისეთას უკრავდა და ისეთ ბაითებს მღეროდა, რომ „ურა“ და „ვაშას“ ძახილი სოფლამდინ ჩამოდირიოდა.



სტუმართა შორის ჩვენი პატივცემული და დარბაისელი ბოსტნის ბებერაც ერია. შავი ატლასის კაბით შორათული ბარემ ძლიერ შეენოდა, მაგრამ არ ვიცო—კრიკინას ეშხიანი სიმღერის ბრალი იყო, თუ სხვა რამ იყო მის თავს—ის მეტად მოწყენილი და დაფიქრებული იყურებოდა. კრიკინამ რომ სიმღერა გაათავა და ახლა კუნელზე შემსხდარ ბოზობა კალიებმა მომართეს თავიანთი საკრავები, ბოსტნის ბებერა ადგა; ვარდ-კაქაქას ხეივანში გამოვიდა და ქალას აქეთ-იქეთ გახედა. უცბად მან შეამჩნია, რომ თრიმლის ძირას, მისი დაუნდობელი მტერი და ქვეყნის ამომგდები გრძელ-ულვაშა წევს და თვალებიდან მდულარება ვადმოსდის. ჯერ მან თვალებს არ დაუჯერა, ცოტა წინ წამოდგა, და რაკი დარწმუნდა, რომ ის იყო, გვერდით რამდენ ჯერმე შორიდებით აუარჩაუარა.

— ვაი ჩვენი ბრალი, რომ წუთი სოფელი არავის არაფერს შეარჩენს!.. ის არის, ის!... ნეტა რა დამართვია, მარტოდ მარტოა.. ტირის!.. ჩაილაპარაკა თავისთვის ბოსტნის ბებერამ და გული სიბრალულით აევსო. უნდა გითხრათ, რომ ის საზოგადოდ ისეთი უწყინარი და გულკეთილი იყო, რომ მოუსვენარმა ბუზანკლებმა დაცინვით ქვეყნის მამიდა უწოდეს. თავის დღეში ბოროტს გულში არ ჩაირჩენდა და სხვის ბოროტებას მუდამ სიკეთედ იყენებდა.

აი, ახლაც, თუმცა გრძელ-ულვაშასაგან ძლიერ გულნატკენი იყო, მაგრამ ისე ძლიერ შეეცოდა, რომ ვერ შოთმინა და მისკენ გასწია.

გრძელ-ულვაშამ შორიდანვე რომ დაინახა, იმ წამსვე იცნო, თავისი უსამართლობაც გაახსენდა და გულმა მწარედ ძგერა დაუწყო.

თან გაწბილებულმა ზეზე წამოიწია, უნდოდა სადმე გაქცეულიყო და დამალულიყო, მაგრამ წელი ვერ აითრია და ვედრებით და რალაც საცოდავი გამოშეტყველებით ყურება დაუწყო.



ბოსტნის ბებერა მიუახლოვდა, მაგრამ ჯერ ხმის ამოღება ვერ მოახერხა, შემდეგ, რაკი გრძელ-ულვაშას შიში და თრთოლა შენიშნა, იმას იმ წამსვე თვალეზზე ცრემლი მოადგა.

— რამ შეგაშინა, შე საწყალო! — პაწია და უღონო ბოსტნის ბებერას რა შემიძლიან? ან ძლიერ ბევრიც რომ შემეძლოს, განა მტრობას ვისმეს გაუწევ? ეჰ, ჩემო გრძელ-ულვაშა, ამ ჩვენ წუთი-სოფელში ყველაფერი ამაოა. სამარეში, შეილები არ დამებოცოს, არაფერი არა ჩაგვყვება რა, კეთილი გულის მეტი.

აი, შე საწყალო, შარშან რომ კეკელაანთ ბოსტანში შეილები დამიწიოკე და იმათი საზრდო მომტაცე, ამას გემუდარებოდი და აი ამ დღეს გაგონებდი, ჩვენი ცხოვრების ამბავი რომ ვიკოდი, მაგრამ რომ არ გამოგონე!...

ეჰ, შე საცოდავს გულზე ცეცხლი უფრო იმიტომ შეკიდებოდა, რომ ვგრძნობდი, რომ რაკი სუსტი და პაწია ვიყავი — იმისთვის გამათახსირე და იმისთვის დამწაგრე... მაგრამ ძლიერ კერპი ყოფილა ყველა სულდგმული. სანამ თავის თავზე არ გამოსტდიან, სხვისას ვერაფერს ვერ მიხედებნიან ხოლმე. ახლა შენ რომ შორიდან ნამტირალევეს თვალი მოგკარ — გულმა ისე შემომკენესა რომ...

განა არ ვიცი ახლა გულში შენ რაც გიტრიალებს?!

ამ სიტყვებზე გრძელ-ულვაშამ ისეთი ტირილი ამოუშვა, რომ აქა-იქ ხის კენწეროზე შერჩენილმა ფოთლებმა მისი ცოდვით ცახცახი იწყეს.

— ოო... რომ იცოდე — რა მწარეა ჩემი ყოფა, რომ იცოდე, რა საბრალო ვარ, — გააწყვეტინა გრძელ-ულვაშამ ბოსტნის ბებერას და თან ისევ ტირილითვე განაგრძო:

— ჩემი უბედურობაც იმაშია, რომ ქვეყანა ქურდ-ბაცაცობით ავიკელ, შენც გაგამწარე, ბევრი სხვაც შენსავით ზვავირე, რომ სიმდიდრე შემეძინა და იმითი პატივისცემაც დამემსახურებინა და... ხედავ, ახლა რა დამემართა...



მაგრამ ამაზე უარეს ტკივილს ავიტანდი, მხოლოდ მომინელებია, რომ ასეთ საცოდავს ეხლა ზედ აღარავინ მიცქერის... ვიწვი და ვიმღულრები, როდესაც ჩემი პატივისმცემელნი და ჩემი მეგობარნი გვერდით ბევრჯელ ისე გამივილიან, თითქოს არც კი მამჩნევდნენ. ბევრი კი თანაგრძობის მაგიერ ზედ ქვასა და ლოდსაც მესვრის, თითქოს მცდიან— მართლა უძღური ვარ თუ წინანდებურად თავს ვიკატუნებ. აი, სწორედ ამ წამებში გულზე ისეთი ცეცხლი მეკიდება, რომ ასე მგონია მთელი ქვეყანა ჩემსავით იტანჯება.. მაშინ ყველასათვის ისე ვტირი და ყველა ისე ძლიერ მიყვარს, რომ ჩემი თავი აღარ მახსოვს...

მაგრამ ახლა რაღა იქნება: სიკვდილის პირზე ვარ მიმდგარი, საცაა მზე სამუდამოდ ჩამიქრება... გვიანლაა ახლა ყველაფერი... მაგრამ, ჩემო კეთილო, ჩემო ღვთისნიერო მეზობელო, ამ უკანასკნელ ჟამს ერთ რამეს გევედრები, და ამისრულე, შენს მუხლებს ვენაცვალეები... ვანა არ იცი, მართლა ჯანსაღობის დროს ყველა რომ ასე თვალ-ახილული დადიოდეს, ქვეყანაზე არც ამდენი უსამართლობა და უბედურება იქნება... აი, გამწარებული სულით რას გევედრები: რუს გადაღმა რომ მუხაა, იმ ფულუროში შენახული ჩემი კაკლები შენ ჩაიბარე, და როგორც გინდა— ისე მოიხმარე... იქნებ ამ ანდერძით ჩემ სულს პატარაოდენი შევება შეეძინო...

ტირილითა და კენესით ვევედრებოდა გრძელ-ულვაშა და თან სულს ძლივს იბრუნებდა.

ბოსტნის ბებერასაც ის სათნო გული კოკობივით ასდულებოდა და იმ წამს ქალაში ქორწილის ყიყინასთან ერთად ისეთი ოხერა იდგა, რომ პირდაპირ გულგასაგმირავი.

დიღხანს, დიღხანს აშოშმინებდა ბოსტნის ბებერა მომავლად გრძელ-ულვაშის და თან გამწარებულს ხან პიტნის ფოთოლს ასუნებინებდა, ხან სამყურა ბალახით უნიავებდა

და იმავე დროს წყნარი და დინჯი ხმით ნუგეშსა სცემდა და ამშვიდებდა.

მზემ კარგად გადაიწვერა, როდესაც გრძელ-ულვაშა რის ვაი-ვაგლახით დამშვიდდა და ჩაეძინა. ბოსტნის ბებერამ თრიმლის ფოთოლთან ერთად მწვანე ფარჩის საბნად ბუერას ფოთოლიც ფრთხილად ზედ წაბურა და ფეხ-აკრებით შინისაკენ გამოეშურა, რომ თვალ-ნათლივ თავისი ოჯახი დაეთვალეობინა და საყარაულოდ ისევ ავადმყოფთან გადმო-სულიყო.

—

გავიდა რამდენიმე ხანი, რალაც ვანგებით სასიკვდილოდ განწირული გრძელ-ულვაშა ისე გამოკეთდა და ისე გასაღდა, თითქოს თავის დღეში არაფერი არა სტკენია რაო.

ყველაზე გასაოცარი კი ის იყო, რომ ყველაფერი ისე დაეიწყებოდა, რომ სიზმრად ნახულადაც კი აღარ ახსოვდა.

ახლა სადღაც ქაქუცა თავის მზეთუნახავ ქალისათვის მოეკრა თვალი და ხელმეორედ დაქორწილება კიდევ გადაეწყვიტა.

ერთ მშვენიერ დღეს ხელ-ახლად მეფედ დამზადებულ გრძელ-ულვაშას ყაბალახი კოხტად კისერზე მოეგდო, მუხის ტოტზე შემჯდარი, საუზმედ თხილის გულს აქნატუნებდა და თან გულმოსული გაიძახოდა:

— აი, დასწყევლოს ღმერთმა, ის ტარტაროზი ბოსტნის ბებერა მაშინ საიდან გამოტყვერა? ვერ გაუტანია ჩემი კაკლები! მე სულელსაც რა მალაპარაკებდა: მომკვდარვიყავი-რა? ჩემს შემდეგ სულ ერთი არ იქნებოდა—ვისაც ჩემი სარჩოსაბადებელი დარჩებოდა... სად მომასწრო და!.. ხედავდა, რომ სული მიმწარდებოდა, და აკი არ შემატყინა. იმ სულ-წაწყმენდილს მართლა ისე გაუზიღია, რომ ხველა-სურდოს ანგელოზებისათვის ბაზმის დანთება რომ მიწოდდეს, ერთს ვეღარსად ვერ ვიპოვნი.

აბა ერთი თუ ქალია—ზოგი ახლა მობრძანდეს და იმგვარი ანდერძი ახლა დამაწყვინოს.



არა, შეილოსან, მივხვდი, მივხვდი, რაშია ცუდი საქმე. აი, ეს კობტა უღვაშები არ მესხას, თუ ეს ასე არ იყოს: ყველას, ვისაც კი სააქაოდ პირი არ უქნია და ვინც იმწელ-კავიან ბოსტნის ბებერასავეით უღონოა, გულკეთილიც ის იქნება და ქვეყნისათვისაც ის იზრუნებს. აბა მე ახლა ვის რას მივცემ, როდესაც თვითონ გასაქირში მევე ვარ? იმ ჩემ ფუნჩულა პატარძალს ურადის მაგივრად თხუთმეტოდე კაკალი მაინც არ უნდა მივართვა?

ან განა გასამტყუნარი ვიქნები, ამალამ მაგდანას სათონეში ბობოლასავეით პწკლის კალათით ჩამოკიდულ კაკალს რომ მოვუღებინო?


მაგრამ ჯერ დავბინავდე. აგერ მოყვრებიც მობრძანდებიან!—დაათავა გრძელ-ულვაშამ, ყაბალახი გაისწორა და ორ ახალგაზდა წრუწუნას წინ მიეგება. წრუწუნებს მეზურნეებად წინ ფუტკრები ღიღინით და ბაიათებით მოუძლოდნენ.

გრძელ-ულვაშამ მოყვრებს საუზმე წინ მიაგება, ქაქის არაყითაც გაუმასპინძლდა და ცოტა არ იყოს ყველანი კარგად შეზარბოშდნენ.

შემდეგ ზაქარას ძველ დარბაზისკენ გაემგზავრნენ, სადაც შუა-ლაშისას, როცა ყველანი მიიძინებდნენ, დიდ ქორწილსა და დროს ვატარებას შეუდგებოდნენ.

მეფე ძლიერ მზიარულად ბრძანდებოდა. გზა-და-გზა შეზარბოშებული სულ ყირა-ყირა გადადიოდა და თან ერთსა და იმავე სიმღერას გაჰქიოდა: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

მეპოტი.





ზამთარი



ზე იცინის, მაგრამ ზამთრის
 სუსხი ნემსებს მაინც ხმარობს,
 ჩხელეტს ბუნების სილამაზეს,—
 შეჰყურებს და გულით ჰხარობს.

უმღერს: ნანა... დაიძინე...
 დედოფლოურად მოგასვენებ,
 და გაზაფხულს—შენს ღვთაებას—
 მხოლოდ სიზმრად მოგაჩვენებ.

ბროლის კუბოს ავიშენებ,
 ბროლის ტახტზე დაგასვენებ,
 ბროლისავე ყვავილებით
 დაგფარავ და დაგამშვენებ...

რად გაფითორდი? ჩემმა სიტყვამ
 განა გული გაგიმაზა?

ნანა... ნანა... დაიძინე,
 მშვიდად, წყნარად... ხა, ხა, ხა, ხა!

— იხარხარე, იხარხარე! —
 პასუხს აძლევს მას ბუნება, —
 ვერ გამტეხავ, — უღრეკია
 ჩემი სული, ჩემი ნება:

ღღეს თუ ასე შიშველს მხედავ,
 ხვალ ჩაეიცვამ კაბას მწვეანეს;
 ია-ვარდით მოვიქარგავ
 გულ-მკერდს, ტურფად მოლაღანეს;

ტახტს დავიდგამ, სადაც სულმა
 გაზაფხული დაინახა...
 მაშინ? მაშინ შენ იკვნესებ,
 მე ვიცინებ: ხა, ხა, ხა, ხა!

მზე იცინის, მაგრამ ზამთრის
 სუსხი ნემსებს მაინც ხმარობს,
 ჩხვლეტს ბუნების სილამაზეს,
 შეჰყურებს და გულით ჰხარობს.

ვ. რუხაძე





პირიმუშე

ძავკასიონის შთის კალთებზე იყო ერთი კუთხე, რომელსაც ძველად სამოთხის კუთხეს ეძახდნენ ხოლმე. მართლაც შეეფერებოდა ეს სახელი ამ ბედნიერ მხარეს. მცენარე—მრავალფერღობს გარს ერთი მხრით თვალ-გაღუწვდენელი ფიჭვის და ნაძვის ტყე შემოჰკროდა, მეორე მხრით—წიფლის და არყის. შუაზე თავიგულივით ლამაზი სოფელი იყო გაშენებული, ბაღებით და ვენახებით სავსე. ვახუშტულზე აპრილის მზე რომ დაათბობდა ფერღობს და ხევებში წყაროები კამკამს დაიწყებდნენ, ვაზი რომ მზის ალერსით გამთბარი მტრის ბედნიერებით ატირდებოდა და მგზნებარედ გადაეხვევოდა ჭიგოს, ყვავილები რომ მოედებოდნენ მინდვრებს და ბუნება ამოძრავდებოდა, ამეტყველდებოდა, იმის უკეთესს ადამიანის ოცნება ვერაფერს ვერ წარმოიდგენდა.

ვახუშტულში ტოტემ-გაშლილი ცაცხვები თავის სურნელოვანი ყვავილებით, ყარყარა თეთრ-ქერქა წიფლები და არყის ხეები და მათ ქვეშ ცივი კამკამი წყაროები სიამურ სიგრილეს ჰფენდნენ არემარეს, და ამიტომ მზე არასოდეს არ ყოფილა იქ შემაწუხებელი.

მუდამ ნორჩ ბიბინა ბალახს, ყვავილებით ათასფერად მოქარგულს, შებოღდგომაზე ცოტა ნაზი მკრთალი ფერი გადაჰკარავდა. ზურმუხტს ოქრო გამოეგრეოდა, ოქროს ფირუზი; შრიალი, ჩურჩული მიწას ეფინებოდა დაბლა, დაბლა... კვლებოდა, ტყეშივე იმარხებოდა. ჰაერი იწმინდებოდა. მოწყენით, ნახად უაღერსებდა ხეებს. ნებიერის ჩურჩულით თავის მხრივ აღერსს სთხოვდა. მთები უფრო ახლო მოადგებოდნენ ხევს და თავის ქალარა ნაკვეთი წვერებით ხან ჩაფიქრდებოდნენ, ხან შუბლს გაიხსნიდნენ და უღიმოდნენ არემარეს.

ზამთარში თოვლი რომ წამოზარდნავდა და ფირუზის ფერ ტყეებს და მდებლოებს აქრელებდა, მზესაც ღიმილს მოჰკვრიდა ხოლმე; ისიც თეთრად გადაპენტილ ვარსკვლავებ-მოფენილ ხმელეთს ათასფერად ააბრკუყვიალებდა.

მაგრამ როდესაც მზე ჩასვლის წინად ფიქვის ტყეს თამაშს დაუწყებდა ხოლმე, იმას ზომ სულ არა სჯობდა რა. ხან მრავალნაირ სახეებით გამოქედილ ოქროს გვირგვინს დაადგამდა, რომელსამე ფიქვს შეჰხედავდა: ლამაზია თუ არაო. მოჰხდიდა. ახლა შეორეს; ახლა მესამეს. მერე თითებს მის ტოტებში ვახლართავდა. გაქანდებოდა და კორდს ჩაეკვროდა გულში. ცივ წყაროს ააკამკამებდა, აანთებდა გრძობით, ამღერებდა. საარაკო ნათელ-ჩრდილით მორთავდა ღელეს.

ხალხიც ბედნიერი ცხოვრობდა ამ ბედნიერ ქვეყანაში. ყველა შრომობდა, ყველა მზიარულობდა. ყველას საჭიროება კმაყოფილდებოდა. გადამეტებული სიმდიდრე არ იყო, მაგრამ არ იყო არც სიღარიბე. ძმური ერთგულობა იყო იქ გამეფებული. ერთი ყველაზე ზრუნავდა და ყველა თვითეულზე. ბუნების მშვენიერება საკმაო კმაყოფილებას და სიტკბოებას აძლევდა თვითეულ მათგანს.

ეს ხალხი პირიმზეს სცემდა თავიანს. პირიმზეს მთის წვერზე ჰქონდა ბროლის კოშკი და იქა ცხოვრობდა. მისი დღესასწაული აპრილში იცოდნენ. როდესაც ერთ აპრილის

დღეს კოშკი ფერად-ფერადად აენტებოდა, ხალხი გარეშე მოვიდოდა და ხელაპყრობილი თაყვანსა სცემდა პირიმზეს. ახალგაზრდა საქორწილო ქალ-ვაეს გაამგზავრებდნენ მთის წვერისაკენ, რომ უფრო ახლო ეხილათ პირიმზე და ეცათ თაყვანი.

პირიმზეც კოშკიდან გამოიხედავდა დიდებული და ბრწყინვალე, კეთილად მოღიმარი. მორთავდა საუცხოოდ არემარეს. ორ-სამ დღეს დიდი ზენიმი და დღესასწაული ჰქონდა ხოლმე ხალხს. ახალგაზრდები ამ დღეს დანიშნავდნენ ერთმანეთს. მიწის სამუშაოს ამ დღეს გაანაწილებდნენ ხოლმე ერთმანეთში.

მთელ დედამიწის ზურგზე განთქმული იყო ამ ბედნიერ ქვეყნის სახელი. ინდოეთის ძლიერ მეფეებსათვის ბევრჯელ უთქვამთ მოგვებს: შენი გვირგვინის საუკეთესო თვალი იქნებოდა ეს ქვეყანაო, მაგრამ არაიენ არ იცოდა სწორედ, სად იმყოფებოდა და რა გზით შეიძლებოდა იქ მისვლა. რომ მოსულიყვნენ კიდეც, ფერიები ტყეებში გზებს აურევდნენ და იმ ბედნიერ კუთხეს მტერს არ მიაკარებდნენ.

მრავალმა ათასმა წელმა განვლო ამ ბედნიერ ცხოვრებაში. ერთ წელიწადს, აპრილის დღეს, როდესაც ჩვეულებრივად პირიმზე უნდა გამოჩენილიყო, ქვეყანას ჯანყი დააწვა. ხალხი იღვა და ელოდა პირიმზეს, ჯანყი კი უფრო და უფრო დაბლა იწვედა, უფრო და უფრო მძიმედ აწვებოდა ქვეყანას. ერთ დღეს ელოდნენ, მეორეს, მესამეს, კვირაც გავიდა. კვირას თვე მოჰყვა, თვეს წელიწადი და ჯანყი აღარ მოშორებია სოფელს. ტყეში, მზის სხივების მაგივრად, ნისლის ნაგლეჯები დაძვრებოდნენ. ფიქვებს თავპირი ჩამოსტიროდათ. პირიმზე აღარ და აღარ გამოჩნდა.

ხალხმა გადასწყვიტა — პირიმზეს ჩვენი სიყვარულის გამოცდა სურსო. გულს არ იტებდნენ და მიდიოდნენ ზევით, საითაც მისი ბროლის კოშკი ეგულებოდათ, მაგრამ იქით წა-

სული უკან აღარავინ დაბრუნებულა. მერე მხოლოდ დარჩეული ბიჭები მოდიოდნენ ხოლმე, რომელთაც უფრო გული და ჯანი ერჩოდა, მაგრამ იმათგანიც არავინ არ დაბრუნებულა. ბოლოს ხალხში დევ-გმირებიც გაჩნდნენ; ისინიც პირიმზის ძებნაში დაიღუპნენ და უკან არა დაბრუნებულან.

გავიდა ხანი... ბებრები დაიხოცნენ, ახალგაზრდები დაბერდნენ და პირიმზე კი არსადა სჩანდა.

მას შემდეგ ვაზი აღარ ატირებულა, ყვავილი აღარ გაშლილა, მინდორი არ აბიბინებულა.

იყო სოფელში ერთი ოჯახი, რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი შესწირა პირიმზის ძებნას. ოჯახის მამა და მისი ცხრა ვაჟი-შვილი, ცხრა მოსხეპილი ვაჟაკი, ყველა მის ძებნაში დაიღუპა. ამ ცხრა გმირის დედა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, რომ თითქოს რაღაც ზე-შთაგონებით იტყოდა ხოლმე, სანამ პირიმზე ძველებურად არ გამოგვინათებს, მე არ მოგვედებო, და მართლაც არა კვდებოდა. როდესაც მეორე შვილი დაეღუპა, მის თვალეში უკვე იმედი გაჰქრა და მისი სიცოცხლე რაღაც უსიცოცხლოდ გადაიქცა. მის უფერულ, მიმქრალ თვალეში აზრს ვერაფერს ვერ ამოიკითხავდა კაცი. მხოლოდ თვითეული შვილის სიკვდილის შემდეგ იტყოდა: ეს მეორეო, ეს მესამეო. შემდეგ შვილს მიაპყრობდა უაზრო თვალს და ჩაცივებით უტკეპროდა, თან რაღაცას ბუტბუტებდა, სანამ იმასაც პირიმზის საძებრად არ გაისტუმრებდა.

მაგრამ მერვე შვილისა და ქმრის დაღუპვის შემდეგ რაღაც იმედმა გაიბრწყინა მის თვალეში. უმცროს შვილს ის სულ სხვა იმედით ჩააჩერდებოდა ხოლმე და ხშირად გრძნეულად ეტყოდა: წადი, შვილო, ტყეში გაიარეო. შვილს არ ესმოდა, რაღა გზავნიდა დედა ტყეში, მაგრამ ამასობაში ტყე განსაკუთრებული სიყვარულით შეუყვარდა და საშინელი ძალით იზიდავდა მის გულს. ყველა ჰხედავდა, მის ცისფერ

თვალეში რა სიყვარულის ცეცხლიც ენთო, და ყველას ყმაწვილი ძმებზე მეტად ეცოდებოდა. რადგანაც ეს უკანსაქნელი ძმაც იყო და გამხდარი, ნაზი, მგრძნობიარე სახე, მის დეე-გმირ ძმებთან შედარებით, სიყვარულის და სიბრალულის მეტს არაფერ გრძნობას არ უძრავდა გულში მის მნახველს. ენანებოდათ სათუთი ყმაწვილი საბრძოლველად.

ერთ საღამოს ტყეში ნისლმა ცოტა ზემოდ აიწია, ფიქვის წვერებზე დასრიალებდა. ფერიებს ტანთსაცმელი და თბები შეაშრათ და ხის ტოტებიდან გამოჰყვეს თავები, გამოვიდნენ ველებზე.

მოხუცმა ეს იგრძნო. დღეს სხვანაირი დღე დგებოა, რამდენჯერმე სთქვა. ამ სიტყვებმა მის შვილს გული აუტოკეს. საღამომდის კი როგორც იყო გასძლო და საღამოს ეამს კი ტყისკენ გაიარა.

შევიდა ტყეში ყმაწვილი და თავის უნებურად ღრმა ფიქრმა წაიღო. პირქუშმა ტყემ და მწუხარე ნისლმა დაამწუხრა ყმაწვილი. ის ფიქრობდა იმაზე, რომ ტყეც ისევე მოწყენილია, როგორც ხალხი, და პირიმზეს გლოვობს,—რომ ნისლი თეთრი მზატე და ნაზია, რომ პირიმზე მას შეენებას მიუმატებდა, რომ ისიც პირიმზეს მისტირის.

ამ ღრმა ფიქრებში გართული ყმაწვილი შუა ტყეში შევიდა და მიადგა ველს. იქ რბილ ბალახს ნისლი მოშორებოდა და თავი ცოტა თამამად უფრო მაღლა აეწია. ორიოდ თავმდაბალი ყვავილი მორცხვად მაღავდა თავს ბალახებში. საიდუმლო სიწყნარე იყო. ბინდი თანდათან აწვეებოდა მიწას. ჰაერი, ტყე, ცა გაჩუმებულიყო და თითქოს სულ-განაბული ჰყნოსდა ყვავილებს.

იდგა ყმაწვილი ერთ ალაგას და, თითქოს ვილაცხას ელისო, გული ისე აუტოკდა. პატარა ხანს უკან ველის იქით ნაპირზე ხის ძირში შენიშნა ტყის დედოფალი. თანდათან ნაძვის დაბურულ მწვანეიდან ირკვეოდა, ხეს ნელ-ნელა შორდე-

ბოდა. ოდნავ მოდიოდა, თითქოს მოსცურავსო. თავზე ოქროს ჯილა ედგა. მზის სხივივით ბრწყინვალე კულულები მბრებზე გადაშლოდა. ოქროსფერ სამოსლის ყოველ ნაოქში მბრუნველობა და სიყვარული გამოჰკრთოდა. დედობრივ მბრუნველობით და მეგობრული სიყვარულით უცქერდა ყმაწვილს. მიუახლოვდა: პატარა ხანს იდგა ერთ ალაგას. მერე მიმართა ტყის შრიალივით ნაზი და გულის ძვერასავით საამო ხმით:

— შენ იპოვნი პირიმზეს. შენა ხარ მხოლოდ მისი პირველად ხილვის ღირსი. შენ მოსვლას ევლოდით ჩვენც, შენთვის ვვიძვერს გული. შენკენ მორღტყვის სული.

ესა სთქვა და გაჰქრა. მისი კვალი მზის სინათლედ გაიშალა მდებლობზე. ხეების წვერები მოავარაყა. ნისლი გაანათა. ყმაწვილი მას უკან დაედევნა, ჩუმად, ხელებ-გაწვდილი, — და საუცხოვო სანახავს წააწყდა.

იქვე ხის ძირში წყარო გამოჩნებდა. მაგრამ რა წყარო! მისი წინწყლები აღმასივით ანათებდნენ. მის ძირზე ტალღებს ფირუზის და იავუნდის ფერი გადაჰკრავდა. ყმაწვილს ჯიბეში მათარა ჰქონდა, იმით წყალი ამოიღო. უნდა დაეღია და... განცვიფრებული გაშეშდა.

შიგ პირიმზის სახე დაინახა.

— ეხლა კი ვიცნობ პირიმზეს, უნდა პირიმზე ვიპოვო, — სთქვა ყმაწვილმა და აღმართს შეუდგა, საცხე მათარით ხელში. დიდხანს იარა ასე აღმართ-აღმართ, თან მათარიდან წვეთ-წვეთად წყალი ეღვრებოდა. მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ სანამ პირიმზემდის მივიდოდა, მათარაში ცოტა წყალი მაინც კიდევ დარჩებოდა. იარა ასე ყმაწვილმა ორი დღე და ღამე და ბოლოს სერზე შედგა. იქ ისეთი საამური მზის შუქი მიადგა, რომ ის იყო გული აუტოკდა, ეგონა — პირიმზის სამფლობელოში ვარო, მაგრამ მათარას ჩახედა და მიხვდა, რომ ეს შუქი პირიმზისა არ იყო. მაინც გაუდგა ყმაწვილი გზას. გზა ახლა ქვეით-ქვეით წავიდა. დიდხანს იარა ყმაწვილმა ასე,

ვიდრე ქვესკნელში არ ჩავიდა და იქ კიდევ ახალი საუცხო-
 ეო სანახაობა არ გადაეშალა თვალწინ. დიდი, ბროლით ნაკვე-
 თი სასახლე იყო მთის ძირში. აქეთ-იქით ბროლისავე წვე-
 ტიანი კოშკები. სასახლე გარშემო იაგუნდის და ფირუზის
 ფერადად მოელვარე თვლებით იყო მოქედილი და კოშკების
 წვეტებიც მსხვილი იაგუნდებით იყო მორთული. გარშემო
 ბაცი ზურმუხტის ბიბინა ბალახი თვალს უაღერსებდა. ყვავი-
 ლებით მორთული ველი თითქოს ღიმილით იზიდავდა მგზავრს
 თავისკენ. საამური, ბინდში არეული მკრთალი შუქი ჰმოსაე-
 და არემარეს და გულს ტანჯვით და სიამოვნებით, გულის
 მწყრეტავ სიხარულით ავსებდა.

ყმაწვილი გაშტერდა. დიდხანს თვალს ვერ აშორებდა ამ
 საოცნებო მხარეს, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ მათარაში ჩაი-
 ხედა და შეატყო, რომ ყველა ამ ძვირფას თვლებს, საამური
 ფერადების გარდა, შეუშინველად ხან შავი ფერი გადაჰკრავდა,
 ხან წითელი სისხლის ფერი.

ამიტომ ყმაწვილმა სცადა ამ სასახლისთვის გზა აეჭკია,
 მაგრამ შეამჩნია, რომ ყიელა გზები იქით მიდიოდნენ. რა
 უნდა ექნა? უკან დაბრუნება აღარ იტნებოდა. წავიდა ყმაწ-
 ვილი სასახლისაკენ და თავის მათარით ციმციმი წყალი მეტის
 სიფრთხილით წაიღო თან.

როგორც მიუახლოვდა ყმაწვილი სასახლეს, აივანზე საა-
 რაკო მშვენიერების ქალი გადმოდგა, ტანთ თევზის ქერტლის
 მაგვარი ვერცხლით, ოქროთი და ფერადი თვლებით მოქე-
 დილი კაბა ეცვა. ქალი რომ შეინძრეოდა, კაბა სულ სხვა-და-
 სხვა ფერად დაიწყებდა ელვას და თვალს ისე იამებოდა, რომ
 მის ცქერას არა სჯობდა რა. სახე საამურად უღიმოდა ქალს,
 და ყმაწვილს ის იყო გული სიხარულით უნდა ასტოკებოდა,
 მაგრამ დროზე ჩაიხედა მათარაში და შეამჩნია, რომ ქალის
 კაბის სხვა-და-სხვა ფერებში ოდნავ სისხლის ფერიც გამოკრ-
 თებოდა ხოლმე. ქალსაც სახეზე რაღაც შავი ჩრდილი გა-

დაურბენდა ხოლმე. პირიმზის ფერები კი სულ სხვა სიამით იყო აღსავსე. მიუახლოვდა ყმაწვილი სასახლეს და გარშემო მინდორი, ყვავილი, ბალახი,—ყველა მაცდურად ჩასჩურჩულებდა:

— პირიმზეა, თაყვანი ეცი, პირიმზეა, მუხლი მოუყარეო!

მაგრამ ყმაწვილმა თავი შეიმაგრა, ამაყად და მედიდურად მიუახლოვდა სასახლეს.

— თუ ჩემი ნახვა გინდა, წადი წყლის პირას, ველზე რომ ყვავილებია, ის დამიკრიფე, თაიგული შემეიკარ და ისეთ ნეტარებასა და ბედნიერებაში გამყოფებ, რომ ღვთის ნათლულსაც ენატრებოდესო.

ყმაწვილი გაბრუნდა, გაჰყვა ველს. მიაღდა თვალ-წარმტაც მოკისკასე წყაროს. გადახედა ყვავილებით მოქარგულ მდელოს. ყვავილების მშვენიერებამ მოხიბლა ყმაწვილი, სუნნელებამ გააბრუა, წყაროს ჩუხჩუხი და ბალახის შრიალი ერთგვარ ძილის მომგვრელ ძგერად ესმოდა, ყველა ეს მკრთალ სინათლეში, საღამოს ბინდ-ბუნდში გახვეული, ძილსა ჰგვირდა. გაშეშდა ყმაწვილი ერთ ალაგას, თვალები მიელულა, სისხლის მოძრაობა შეუდგა, ხელი აუკანკალდა და ის იყო წყლით საესე მათარა ხელიდან უნდა გავარდნოდა, რომ უცბად შეკრთა და თვალები გაახილა: წყაროს ჩუხჩუხში უცებ მან გაარკვია და მკაფიოდ გაიგონა: მოშორდი ამ ალაგს, მოშორდი ამ ალაგს, მოშორდი ამ ალაგს...

მიიხედ-მოიხედა ყმაწვილმა და დაინახა, რომ ეს საუცხოვო მდელი გაქვავებული დევ-გმირებით იყო მოფენილი. მაშინ გაბრუნდა ყმაწვილი უკან, აჰყვა წყაროს და სათავესთან რომ მივიდა, იქ წამოწვა ბალახზე დასასვენებლად და წყაროს რაკრას მიუგდო ყური. წყარომ მას უამბო იმ გრძნეული ქალის ამბავი, რომლის სამფლობელოშიც ყმაწვილი იყო.

ყმაწვილმა გაიგო, რომ ეს ქალი ოდესღაც ტყის დედოფალი ყოფილიყო, პირიმზის ერთგული მონა.

ის ტყის დედოფლებში ულამაზესი და ყველაზე გრძნეული ყოფილა და გულში პირიმზის შური ჩაჰპარვია. პირიმზისათვის მას მოუპარნია აუარებელი თვალ-მარგალიტი, აუგია პირიმზის სასახლის ნაირი სასახლე, მოურთავს იაგუნდებით და მთელ არემარეს ის დაჰპატრონებია. პირიმზისაკენ მიმავალი მის სასახლეს ვერ ასცდებოდა, რადგანაც მეტის-მეტი მიჰზიდველი იყო ის, და ყველას მისი სამფლობელო პირიმზისა ეგონა. თვითონ მას პირიმზის მაგივრად თაყვანს სცემდნენ, მიეცემოდნენ გულის თქმას და ვნებას, და გრძნეული ქალის ქსელში ებმებოდნენ. ისიც ამგვარად დამონავებულ ხალხს ხან ცხერებად აქცევდა, ხან ღორებად, ხან ყვავილების მოსაყრებად გზავნიდა და იქ მომწამელელი სურნელებით გააქვავებდა.

ყმაწვილმა ყველა ეს რომ ვაიგო, მაშინვე სხვა გზით იფიქრა წასვლა, მაგრამ სხვა გზა არც-კი აღმოჩნდა. უნდა უსათუოდ გრძნეული ქალის სამფლობელოზე გაეცლო. მეორე დილით აღრე ყმაწვილი თამამად მიადგა გრძნეული ქალის სასახლეს. სასახლე კიდევ უფრო ბრწყინავდა სხვა-დასხვაფერად, კიდევ უფრო მოსტაცა ყმაწვილს თვალი. აივანზე გადმომდგარი გრძნეული ქალი კიდევ მეტის მშვენიერებით შემოსილიყო, მაგრამ ყმაწვილმა ამაყად შესძახა:

— შენ სასახლეზე უნდა გამატარო, პირიმზესთან მივდივარო. ქალმა მაკდურად და აღერსიანად გაიღიმა.

— ჯიუტი ყმაწვილი ყოფილხარ, თაიგული რომ არ მომიტანე. ჩემთან დარჩი. ყველა ამ მშვენიერებას შენ მოგცემ.

— პირიმზესთან მივდივარ. კიდევ უფრო ამაყად შესძახა ყმაწვილმა. უძლურების და ბოროტების ღიმილმა დაუპრანქა სახე გრძნეულ ქალს. ყმაწვილმა აშკარად შენიშნა, რომ, მას სახე ბებრული ნაოქებით დაეღარა.

— მაშ რახან ეგრეა, გამოცანებს გეტყვი და თუ ერთი მაინც არ გამოიცანი, იცოდე აქედან ცოცხალი ვერ წახვალ. ყმაწვილი ძალა-უნებურად დათანხმდა.

მისცა გრძნეულმა ყმაწვილს სამას სამოცდა სამი ყვავილი, სამას სამოცდა სამი იაგუნდი, ამდენივე ზურმუხტის თვალი, ალმასი და სხვა. ყველა ეს ყვავილი და ძვირფასი თვალი უნდა გადაერჩია ყმაწვილს და გამოეცნო, რომელი იყო პირიმზისა და რომელი გრძნეული ქალისა.

ყმაწვილი შეუდგა საქმეს. როგორც გაუკირდებოდა, მაშინვე მათარაში ჩაიხედებოდა, რომ პირიმზის სახე დაენახა და მისი ძვირფასი თვლების ფერებით დამტკბარიყო. ყვავილების გროვას წყაროსთან მიიტანდა, ამოავლევდა შიგ და, თუ ყვავილი პირიმზისა არ იყო, მაშინვე სისხლის ფერი გადაჰკრავდა. მრავალი პირიმზის თვალმარგალიტი გადაარჩია ყმაწვილმა, მრავალი სურნელოვანი ყვავილი მოაშორა მომწამვლელ გრძნეულ ბალახებს.

რაც დრო გადის, უფრო ახლოა მიზანთან. თანდათან ქვეყანასაც ჯანყი შორდება, გრძნეულ ქალს ტუჩის ფერი ეკარგება, პირისახე ბებრული ნაოჭებით ეღარება, პირიმზის სინათლე თანდათან უახლოვდება ჯანყით მოკულ ქვეყანას. ცოტაც, და მალე პირიმზის ბროლის კოშვიც გამოჩნდება, და ქვეყანაზე უწინდელზე მეტი ბედნიერება დამყარდება.


გაგო ნათაძე





ნოშრევან მეფე და

მისი ოცი ვაჟი



ყო და არა იყო-რა,
 იყო ერთი მეფე ბრძენი,
 ქვრივ-ობოლთა მწყალობელი,
 მოსამართლე, ქვეყნის მრჩენი.

ნოშრევანსა უწოდებდნენ:
 ეძლეოდა ხარჯ-ბაჟები;
 ოცი შვილი გასჩენოდა,—
 ოცივენი სულ ვაჟები!

ერთი ქალი არა ჰყავდა —
 მოდიოდნენ მნახველები;

სათითაოდ ჩამოვითვლით,
 აი, მათი სახელები:

გიგო, კოტე, ვანო, ვასო,
 სანდრო, პეტო, გაბრიელი,
 კირკიტა და გულშაგარა,
 თაე-დიდა—პირ-განიერი;

მიხო, ფილო, მელქო, ტიტო,
 დიდ-გულა და შურიანი,
 ეფრემა და ონისიმე,—
 ქვეშ-ქვეშა და კუდიანი.

სულ პატარას კობტა ერქვა,
 ოცი მისგან სრულდებოდა;
 ქვეიანური ყოფა-ქცევა
 შეტის-შეტად უზღებოდა.

ვით ცისკარი ვარსკვლავებში—
 ძმებში ისე ერჩეოდა,
 სიმართლე და წრფელი გული
 ყველაფერში ემჩნეოდა.

*
 *

რა მოხუცდა მათი მამა,
 დაუძახა თავის შვილებს,
 მომავლისა სანუგეშოდ—
 ნებიერად გამოზრდილებს.

უთხრა:—ჩემო ვაჟაკებო,
 გადამექცა შუქი ჩრდილად,
 თუ პირნათლად მოიქცევით,
 მე საფლავში ჩავალ ტკბილად.

უფლებასა თქვენ გამოგცემთ,
ჩემი ქვეყნის ბედის ღერძად;
ერთმანეთის სიყვარული
იქონიეთ ჩემ ანდერძად.

ნუ იქნებით ამაყები,
შეიძულეთ ახირება;
ცუდ-უბრალოდ არ ინდომოთ
სხვის დაჩაგვრა-დაბრყევება.

ღვთისგან ყველა სულიერსა
გრძნობა აქვს და უძგერს გული;
ქირში მყოფი შეიბრალეთ—
მიანიჭეთ სიხარული.

ყველა შიშვლად გაჩენილი—
შიშველივე იმარხება,
მხოლოდ საქმე და სიკეთე
აქა რჩება, ინახება...

ბედი არის დროებითი,
მოვა, ისევ გაბრუნდება;
ვით ქვა, ხელით განატყორცი,
უკან აღარ დაბრუნდება...

ხასიათი სწორე გქონდეთ,
პირდაპირი, ვაჟკაცური,
უანგარო სიყვარული—
ყველასათვის საიმური.

ცულ სურვილსა ნუ აპყვებით,—
ძალით საქმე გაფუჭდება:—
თაენება მოსიარულეს
გხაში ხიდი ჩაუტყდება.

არც ბედოვლათობა ვარგა,
უბარაქოდ დაინთქმება;
წყალიც კი დასანანია,
თუ ტყუილად დაიღვრება.

რასაც დასთესთ, იმას მომკით:
ასეთია ღვთის ბრძანება;
კარგი თესლი კარგის მოვლით
კარგ მიწაში არ დაღვრება.

სიმართლეს ნუ გადაუხვევთ,
გწამდეთ მისი გამარჯვება;
ბოლოს ვით მზე გაანათებს,—
არასოდეს არ გაქრება...

არ მოგწყინდეთ კარგი სწავლა,
კვლევა, რჩევა, დარიგება.
წეს-რიგისა დამრღვეველი
ჩემი შვილი არ იქნება.

ერთი სულით, ერთი გულით,
ერთი პირით, თანხმობითა—
მტრებზე მუდამ გაიმარჯვებთ,
ზეციერის წყალობითა.

თუ რომ ცოლები შეირთოთ:
მოსძებნევით ოცნი დანი,
ერთი დედ-მამის შვილები,
როგორც თქვენ ხართ ოცნი ძმანი.

უფროსს—უფროსი აკუთვნეთ,
შუათანას—შუათანა,
უმცროსს—უმცროსი შეხედება,
სწორად გყავდეთ მუდამ თანა.



მეფე ბოძენი შიოცვალა.

ბიძე
ბიძე

და თუ ისე შეასრულებთ
ამხანაგის გატანასა;
სამოთხეში გეყოლებით,
სულს არ მივცემ სატანასა.

* * *

მეფე ბრძენი მიიცვალა,
წესით მიწას მიაბარეს;
ჭირისუფალთ ღიდხნობამღინ
იგლოვეს და კრემლი ღვარეს.

შემდეგ მისცეს დავიწყებას,
გაუნელდათ მწუხარება:
ხან ყინვაა კაცის გულში,
ხან ცეცხლი და მღულარება.

შემკვიდრენი შეიკრიბნენ,
საფეხიროდ, სათათბიროდ;
თქვეს: ქვეყანა მოვიაროთ,
ჩვენი ძალით გავაკვიროთ.

უცოლოდ ხომ არ დავდგებით,
ვძებნოთ ყველგან ოცნი დანი,
ერთი დედ-მამის შვილები,
როგორც ჩვენ ვართ ოცნი მშანი.

მამის სიყვარულისათვის
სიტყვით ბევრი დაიჭადეს,
მაგრამ ცოლების შერთვა-კი
პირველ საქმედ გაიხადეს.

მონები და მსახურები
შეაგროვეს წასაყოლად,

კირკიტა და ვულ-მაგარა
 აირჩიეს წინამძღოლად.

ჯორ-აქლემებს გადაჰკიდეს
 ულუფა და იარაღი;
 დაიძრნენ და უკან დარჩათ
 თავის ქვეყნის იალაღი.

ცხრა დღე-და-ღამე იარეს,
 დაიღალა ქარავეანი;
 მინდორს იქით ბალი ჩანდა,—
 ერტყა ოქროს ვალავეანი.

შორიდანვე თვალებს სჭრიდა
 მზის სხივების ბჰყვრიალითა,
 წყაროები ჩადიოდნენ
 ჩუხჩუხითა, ჩხრიალითა.

გარეშემო მოუარეს,
 ღია ნახეს ერთგან კარი;
 მუშკ-ამბარის სუნს აფრქვევდა
 შიგნით უცხო ყვაფილნარი.

ფრინველები ხიდან ხეზე
 დახტოდნენ და ნაფარლობდნენ;
 მზიარული ჭიკჭიკითა
 ყურთა სმენას დაატკობდნენ.

მარმარილოს აუზებში
 ვარდის წყლები ციალობდნენ,
 შიგ თევზები მრავალგეარნი
 ცურაობდნენ, სრიალობდნენ.

ხშირი ვაზის ხეივნები
 მწიფე მტევნებს ვერ იტევდა,

გამვლელსა და გამომვლელსა
თითქო სტუმრად შიგ იწვევდა.

თავთავისთვის დაიხატეს
ფიქრი, ნდომა და გონება:
რათაც უნდა—იმად ღირსო
ბალში წოლა, გაგორება!

გადასძახეს:—ჰეი, ვინ ხართ
ან პატრონი, ან მებაღე?
ჩვენ ვართ ნოშრეფანის შვილნი,—
შეგვიშვი და გაგვალაღე!

არსიიდან არა ჩანდა
არც მებაღე, არც პატრონი,
გაგულისდნენ მეფის შვილნი,
ამაყნი და უკადრონი.

თქვეს:—შევიდეთ, ჩვენის ნებით
დავიაროთ ბალის ტევრნი,
ვინ რას გვიზამს, როცა თვით ვართ
ძლიერნი და ასე ბევრნი?

მაშინ აღგა სულ პატარა,
კობტა, სრული გონებითა,
მოახსენა უფროს ძმებსა,
კრძალვითა და მონებითა:

— არა, ძმებო, საყვარლებო,
გენაცვალეთ მე თქვენ სულში!
მამამ როდის დაგვარიგა
ძალით შესვლა სხვის მამულში?

ითაკილეს უფროს ძმებმა
უმცროსისგან ესე რჩევა:

თავში თითო წაუთაქეს
და დაუწყეს ყველამ ტევა:

— ვინა გკითხავს, ნაბოლარავე?
რისთვის გვიშლი გულის წადილს?
შენ არ იცი, რა გემო აქვს
ჩრდილების ქვეშ ბაღში სადილს?

ქვეშ-ქვეშა და კუდიანი
ხითხითებდნენ, იცინოდნენ,
კირკიტა და გულ-მაგარა
წინ ამაყად მიუძღოდნენ.

ბაღის კარი შეიარეს,
წამოგორდნენ მწვანეზედა.
კობტა დაჯდა შორი-ახლო, —
სიტყვის თქმა ვერ გაებედა.

გაიმართა დიდი ლხინი:
ნადიმობდნენ, თამაშობდნენ;
სხვის მოვლილ ბაღს მსხმოიარეს
სთელავენდნენ და არ ინდობდნენ.

დაიღალნენ, დაიქანცნენ,
ბოლოს დაწვნენ მოსასვენად;
დაეძინათ მსახურებსაც,
კობტას გულის მოსაწყენად.

ღამე იყო მეტად ბნელი,
დინჯი, მშვიდი, წყნარი, ჩუმი;
მხოლოდ ყრუდ-ლა მოისმოდა
პირუტყვების ჩქამი-ჩქუმი.

მაღე ხერინვა ამოუშვეს
ნაქეიფარ მძინარეთა:

თითქო ბანს ეუბნებოდნენ
 შორს ხეცებში მდინარეთა.

შუალამე გადიწურა,
 ძირს მარაგნი აიწმინდნენ,
 და ლურჯ ცაზე ვარსკვლავები
 აჭახჭახდნენ, აციმციმდნენ.

შთის მწვერვალებს ძველი მთვარე
 მოეწვია ძვირფას სტუმრად;
 თან ცისკარი მოჰყვებოდა
 სიბნელისა შესამუსრად.

თეთრი შუქი ხეხილნარშიც
 აქა-იქა ჩააყენა
 და მძინარე მეფის შვილნი
 შიგა-და-შიგ დაამშვენა.

კობტა ღამის ძილ-ნატეხი
 ძმებს გულითა ყარაულობს,
 თითქო რაღაც ხიფათს ელის—
 ფაჩუნსაც კი ვარაუდობს.

ამ დროს უცებ ბაღის გარედ
 ხმა მოისმა საზარელი;
 თურმე დევი მოდიოდა—
 ხელში ეპყრა დიდი ცელი:

ბუტბუტებდა, ბუყბუყებდა,
 არემარეს გლეჯდა, ღრღნიდა;
 ყვიროდა და იძახოდა,
 თან პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა:

— ცაში ფრინველს, ძირს კინკველს
 ვერ გაველო ჩემის შიშით:



ვინ გაბედა ბალში შესვლა,
 უგუნურმა გვარიოთ, ჯიშით?!

კობტამ ძმებსა დაუძახა:—
 ხიფათია, ადექითო!
 ეგებ დევი შევაშინოთ,
 გამოფხიზლდით, გამხნევდითო!

ძმებს არათფერი ესმოდათ.
 კობტას იმედი წაუხდა;
 შემდეგ უშიშრად გაუხტა
 და დევს კარებში დაუხვდა:

— სად მოხვალ, მარტო შეგებრძვი,
 ძმებს არც კი მოვიშველებო!
 ამ ხმალითა და შვილდ-ისრით
 შეგამუსრავ, შეგაჩვენებო!

სამი ისარი ზედიზედ
 მოზიდა და დაახალა,
 შემდეგ ხმალი მოუქნია,
 ცალი ყური მოათალა.

იმას ცელისა მოქნევა
 კობტამ არც კი დააცალა
 და მაშინვე დაუმტკიცა
 მუქარა და თავის ძალა.

დევი დაიბნა, შეშინდა,
 სისხლი სდიოდა ჩუხჩუხით;
 ყური და ცელი თავისი
 თანვე წაიღო რუხრუხით.

მირბოდა და იძახოდა:
 — რა მიყო ერთმა კაცმაო!



არც დამაცალო მოქნევა,
 არც მუზარადის ჩაცმაო!

ამას რომ თავისი ძმებიც
 მოემზრონ, მოეშველონო,
 მგონი ზედ შემდგენ წიხლებით
 და ცომიფითა მზელონო!

შევატყობინებ ჩემ ძმასა,
 დევთა მეფეს და თვალსაო:
 ის გადაუზდის ჩემ შტრებსა
 სამაგიერო ვალსაო!

თავად გამწარებულა,
 უკიდია ტრფობის ალი,
 იმ საწყალმა ვერ ჩაიგდო
 საჩინეთის მეფე-ქალი!

კობტა დევს უკან მისდევდა,
 ესმოდა მისი ჩივილი;
 შიშობდა კოცხლად გაშვებას,—
 ეს იყო მისი ტკივილი.

უეცრად დევი ერთ ხრამში
 ჩაცურდა ტრიალ-ტრიალით
 და იქ დალია საბრალომ
 სული ტანჯვით და ღრიალით,

კობტა ბალშივე დაბრუნდა;
 ყველას ეძინა კვალადა:
 ძმების ხსნა ძვირად უღირდა,
 თავის სიკოცხლე — ჩაღადა.

*
 *

ძველი მთვარე და ცისკარი
 გახდნენ სადღაც უჩინარნი,



ვარსკლავებიც მათთან გაქრნენ,—
 ცის ცელქნი და მოცინარნი.

არსებობის მასპინძელმა,
 მიაყენა მთებს სხივები
 და ყვავილნარს ნაზი ცვრები
 მოაფრქვია ვით მძივები.

მალე თვით მზეც ამობრძანდა,
 აქიკვიკდნენ შაშენი, გერიტნი;
 დილის ცვარნი ჰაერს ეძღვნენ,
 ვით ძვირფასნი მარგალიტნი.

გაიღვიძეს ნაქვიფართ,
 წამოლოგდნენ თვალთა ფშვნეტით,
 ერთმანეთსა გაელაღნენ,
 დამტკბართ მზისა სხივთა კვრეტით.

კობტამ უთხრა:—ტკბილო ძმებო,
 რა გიამბოთ, რა გაბაროთ!
 იმედი მაქვს—ამას იქით
 ვმირ ყარამანს დამადაროთ:

შავი ღევი მოდიოდა,
 გელანძღავდა და გვაგინებდა,
 მე რომ არა მღვიძებოდა,
 ცოცხალს არც ერთს გაგვიშვებდა!

თქვენ გაღვიძეთ, ვერ გაიგეთ,
 მე გაუხტი მარტო გარედ;
 შოდით, ნახეთ ნაომარი,
 ნათქვამს საქმე შეიღარეთ!

ძმებს სიცილი აუფარდათ,
 სიმართლე არ დაუჯერეს:

— ნუ ტრაბახობ, გაჩუმდიო! —
ყველამ ერთხმად შეაჩერეს.

მერმე შესხდნენ ცხენებზედა
და გაუდგნენ კვალად გზასა;
მეცხრე დღეზე, საღამო უამს
გადაეკრა ბინდი ცასა.

ერთსა ტრიალ მინდორზედა
დიდი სახლი დაინახეს
და ქარავნის წინმძღოლებმა
ახლო მისვლა განიზრახეს.

შენობა იყო მდიდრულად
მორთული ჩუქურთმებითა,
აივანზე დედაბერი
იღგა გაშლილი თმებითა.

რა იხილა ქარავანი,
მიმავალი შორსა გზაზე,
სიხარულით წინ წამოდგა,
გაღეყუდა აივანზე.

და იძახდა: მოდით, მოდით,
ყმაწვილებო, გამახარეთ!
ადამიანს ნატრული ვარ —
ჩემკენ სტუმრად მოიარეთ!

დაგიხვდებით, გიმასპინძლებთ,
უხვალა მაქვს ყველაფერი:
სავარძლები, საწოლები,
მეფის შვილთა შესაფერი!

თან ფეხებს აბარტყუნებდა,
თან იქნედა ხელმანდილოსა, —

ყველას მოხიბვლა შეეძლო
იმ დედაბრის ენა-ტკბილსა.

კილოს მალ-მალ ისწორებდა,
შიშობდა არ გადებოდათ,—
მეფის შვილთა ქეიფისთვის
ლამის თავბრუ დაეხვიათ.

— ნუ სწუხდებით, მოვალთ, მოვალთ!—
შორიდანვე ხმას აძლევდნენ,
უხაროდათ, რომ ამალამ
დროს ლხინითა გაათევდნენ.

კობტამ ძმებს კვლავ გაუბედა:
— არ ვენდოთ მაგ დედაბერსა;
ეს ერთი თქვენ გამიგონეთ,
მე ხომ გისმენთ ყველაფერსა...

როგორღაც კარგ სულს არა ჰგაეს,—
თმები ისე გაუშლია;
ძალად უნდა შეგვიყვანოს—
აღარაფრით დაუშლია...

ეგ რომ კარგი ვინმე იყვეს,
აქ მარტო არ დადგებოდა;
ადამიანთ სამყოფელოს
ერთ ადღზე არ გასცდებოდა

არც მინდორი მოხნული ჩანს,
არც ბალი, არც სხვა ნაშრომი!
რითი ცხოვერობს ქვეყანაზე
ეგ ღვთისაგან განაწყრომი?!

ან ყაჩაღთა მეთაურობს,
ან სხვა რამე იმალება...

რა ვქნა, ძმებო, მეშინია,
გულს ექვეები ებადება!

ძმებმა უთხრეს:—წისქვილივით
ეგრე ბევრს რომ არახუნებ;
მაგდენი ლაპარაკითა
უბედ კეკელას გაახუნებ!

პატიოსან მანდილოსანს
რისთვის ამცრობ შენ ექვეებით?
თუ არა გსურს, ნუ შემოხვალ,
საცა გინდა—იყავ ნებით!


იივანის წინ გაჩერდნენ,
ცხენები დააბინავეს;
შტერიანი ტანისამოსი
დაბერტყეს, გაანიავეს.

ბებერი ჩამოეგება,
გადაჰკოცნა ყველას პირზე:
მხოლოდ კობტამ არ გაუშვა—
დინჯად გადგა ის ნაპირზე.

ბებერი თავს ევლებოდა,
მსახურებიც დაიწვია,
უშველებელ სასტუმროში
ყველა რიგზე დაამწკრია.

სასტუმროს დიდ მაგიდაზე
შუა იდგა ბროლის ვაზა;
ზედ ტკბილი ხილი ელაგა,—
სათითაოდ მისთავაზა.

ხილის შემდეგ შარბათზედაც
უარი არ ათქმევინა:



ან უახალთა მეთაურობს, ან სხვა რაღე იმულებია...

თითო ავსებული ქიქა
სულ ყველას დააკლევინა.

კობტამ ქიქა არ მიიღო,
არც მოტყუვდა ტკბილფულით.
თავი მაგრად დაიჭირა
ხასიათით ღირსფულით.

ძმებმა უთხრეს:—უნდობარო,
გვიკვირს შენ რომ კაცად გთვლიან:
გიწოდებენ, გაბატობენ:
შენ ეს არც კი ვიხარო?

მოახსენა:—უნდობლობა
თუ ითვლება ცულ თვისებად,
გაუცნობლად ყველას ნდობა
გადიქცევა ზოგჯერ სნებად.

მუდამ საგნის კვალობაზე
უნდა მიბრუნ-მიბრუნება,
თორემ შემდეგ ძნელი-ღაა
წამხლარ საქმის განკურნება...

ბ. თემისხვეკელი

(შემდეგი იქნება)





საურთიერთო დახმარება

აყურადღებო მაგალითები მოჰყავს კ. კ.—რინს ფრთოსან-თა ცხოვრებიდან.

განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ არწივების ყოფა-ცხოვრება. არის ერთი ჯიში არწივებისა, რომელთაც თეთრ-კუდა არწივებს უძახიან. როცა ამ ჯიშის არწივი მალლა ცაში აფრინდება, იქ, სხვა თავის მოძმეთაგან მოშორებით, ხანგრძლივ და მდუმარედ დიდ წრეს უფლის ჰაერში. ბოლოს ერთბაშად მკახე ხმით მძლავრად დაჰკივლებს. მას იმავე წუთში გამოვხამაურებიან მოძმე არწივები, რომელნიც ცალ-ცალკე, მოშორებით, მასავით წრეს უფლიან ჰაერში. ისინი ერთად თავს მოიყრიან.

არწივის კვილი ნიშანია, რომ მან რაღაც საკვები აღმოაჩინა დაბლა, დედამიწაზე. იგი მოძმე არწივებს უხმობს. ისინი ერთად დაეშვებიან დაბლა და აღმოჩენილ საკმელს, რაიმე მძოვრს, ძმურად იყოფენ ერთმანეთში.

არწივის ძლიერ მახვილი, შორს-მჭვრეტეი თვალი აქვს. მაგრამ ბუნებამ, რასაკვირველია, ამ შორს-მჭვრეტელობას საზღვარი დაუდვა: თვითეულ არწივს მხოლოდ რამდენიმე ვერსის მანძილზე შეუძლია მალლიდან დედამიწის მიმოხილვა და ზედ თავისთვის საჭირო საკვების აღმოჩენა. უთუოდ არწივებს, საქმის გასაადვილებლად, წინდაწინ კავშირი შეუქრავთ, შეთანხმებულან, მხოლოდ მათთვის გასაგები ენის, ან სხვა-და-სხვა ნიშნების საშუალებით. პირობის ძალით ისინი ერთად უნდა აფრინდნენ ჰაერში, შემდეგ ცის სივრცეში უნდა

დაშორდნენ ერთმანეთს და თვითებულმა მათგანმა ცალკე უნდა მოაეღოს თვალი მალლიდან დედა-მიწას და ეძიოს ზედ რაიმე საკვები. ამნაირად არწივებს შეუძლიათ შეთანხმებული ძალით, საუთიერთო დახმარების საშუალებით, ერთბაშად რამდენიმე ათი ვერსის მანძილზე მიმოიხილონ დედამიწის ზედაპირი. როცა ერთი მათგანი საჭირო საგანს სადმე აღმოაჩენს, სხვებს უძახის, იმ აზრით, რომ დაბლა დაეშენენ და საკვები ერთ-მანეთში ძმურად გაიყონ.

არწივებსაც თავისი მტრები ჰყავთ. მათ შორის ყველაზე საშინელი მტერი—აღამიანია. ეს კარგად იციან არწივებმა, და იმ დროს, როცა ისინი ერთმანეთის დახმარებით ნაპოვნ სადილს შეეჭკევიან, შორი-ახლოს რამდენსამე არწივს დააყენებენ ხოლმე დარაჯებად, რათა ერთბაშად ვინმე მტერი მათ თავს არ დაესხას.

არის ერთი საყურადღებო ჯიში ზღვის ყანჩოებისა. ისინიც აგრედვე საერთო შეთანხმებით ნადირობენ—თევზაობენ. ისეთ გამჭრიახობას იჩენენ ყანჩოები ამ ნადირობის დროს, რომ მათი შემყურე ადამიანი გოაცეხული რჩება. ყანჩოების მთელი გუნდი ერთად გაუდგება ხოლმე ზღვაზე ისეთ ადგილის აღმოსაჩენად, რომელიც ვიწრო ყურედ ირის შეჭრილი ხმელეთში. ყანჩოები მწყრივად დაეშებიან წყალზე, ნაპირისაკენ პირ-შეჭკეულნი; ამნაირად ისინი წყალს გადასჭრიან, თევზებს საერთო ძალ-ლონით ხმელეთისაკენ მიერეკებიან და მერე ერთად იჭერენ.

მდინარეებსა და წყლის არხებში ნადირობის დროს კი ყანჩოები ორ რაზმად არიან დაყოფილნი: ერთი რაზმი—ზემოდან, მეორე კი—ქვემოდან მიერეკება თევზებს, და როცა ბლომად ერთად თავს მოუყრიან, ნაყოფიერად თევზაობენ. ამ ყანჩოებსაც, არწივებსავე, საკუთარი დარაჯები ჰყავთ, რომელნიც მტრების მოულოდნელი თავდასხმისაგან იცავენ ამხანაგებს ნადირობის და ძილის დროს.

ჩვენ ისე შევეჭვიეთ შინაურ ბელურებს, რომ იმათ ყოფა-ცხოვრებას ყურადღებას არ ვაქცევთ. ბევრს ჰგონია,

რომ ბელურები თავის კერძო, მტაცებელი ჩიტები აზიანდნენ. თითქო იმათ ერთმანეთის დარდი არ ჰქონდეთ და მხოლოდ თავის თავზე ჰფიქრობდნენ. ეს ყალბი აზრი ბელურების შესახებ უკვე ძველ დროში ბერძნებმა უარჰყვეს. ცნობილია, სხვათა შორის, თქმულება ერთი მკერ-მეტყველი ბერძენი ორატორის შესახებ, რომელმაც ერთბაშად ლაპარაკი შესწყვიტა და შემდეგი სიტყვებით მიმართა მსმენელებს: „ამ წუთში, მე რომ თქვენ გებასებოდით, თვალყურს ვადევნებდი ეზოში ერთ პატარა ბელურას. ჩიტუნამ დაინახა იქ დაყრილი ფეტვის გროვა, ერთბაშად გაფრინდა და ამხანაგების მთელი გუნდი მოიყვანა საერთო საქეიფოდაო“.

ახლა მეცნიერებმა კარგად იციან, გულ-დასმით გამოიკვლიეს, რომ პაწია და დიდ ფრთოსნებს ერთმანეთის დაუხმარებლად ცხოვრება არ შეუძლიათ.

ყველაზე უფრო თვალსაჩინოა ერთმანეთის დახმარების მნიშვნელობა ფრინველთა შორის ბრძოლის დროს. წვრილფეხა ფრინველებზე მონადირე უძლიერესი ფრთოსნები, არწივები და სხვები, სუსტნი არიან, როცა მათ პაწია ჩიტების მთელი რაზმი მიესევა. ერთობის ძალა მაშინ ისეთი მრისხანეა, რომ ამ ჩიტუნების წინააღმდეგ ამხედრებული მძლავრი ფრთოსნები ბრძოლის ველიდან გარბიან და თავის პაწია მოწინააღმდეგეთ უტოვებენ ბურთსა და მოედანს.

რაც უფრო მეტნი არიან რიცხვით პაწია ჩიტები დიდი ფრთოსნების მოგერიების დროს, მით უფრო იზრდება მათი მხნეობა, გამბედაობა და თავგანწირულება. ერთმანეთის დახმარება ამ დროს გამირობის წყაროდ იქცევა: დაღუპვის, სიკვდილის შიშს უქრობს გულში პაწია, უმწეო ჩიტუნას.

ჩიტუნები კარგად გრძობენ ერთობის ძალას, მათი საერთო კავშირის მნიშვნელობას. მათი სხვა-და-სხვა ჯიში ცალკე-ცალკე კი არ შეერთდება დიდი ფრთოსნების მოსაგერიებლად: საერთოდ ყველა პაწია ჩიტები, ჯიშის განურჩევლად, მხნედ და ერთად მოქმედებენ ხოლმე მძლავრ ფრინველების



გასადენად. როცა გადენიან, მხიარული საერთო ჟრინველით დღესასწაულობენ გამარჯვებას და ამით ტყეებსა და ველ-მინდრებს ამცნევენ ძმობა-ერთობის მნიშვნელობას.

ერთად ცხოვრებამ დიდად საყურადღებო მოვლენა და-ბადა წეროებსა და თუთიყუშებს შორის. საურთიერთო დაბ-მარების საშუალებით იმათ მტრებისაგან თავი დაიციეს და გონების შესანიშნავი გამჭირიანობა განავითარეს. საერთო კავ-შირმა ამ მფრინველებს ცხოვრებით დატკობა გაუადვილა. წეროს ძალიან უყვარს ფრინველთა საზოგადოება. ის მეგობ-რულად ცხოვრობს არა თუ მარტო თავის მოძმეებთან, არა-მედ ბევრ სხვა ჯიშის ფრინველებთანაც კი.

საოცარ სიფრთხილესა და გონების სიმახვილეს იჩე-ნენ წეროები. რა მდგომარეობაშიაც უნდა ჩავარდნენ, მსწრაფლ მოისაზრებენ ხოლმე, როგორ უშველონ თავს. მათი ღარაჯები ფრთხილად დგანან თავ-თავის ალავას იმ დროს, როცა წეროების გუნდს სძინავს ან საქმელს შეექცევა. მონადირეებმა კარგად იციან, რა ძნელია ამ დროს წეროებზე თავდასხმა. თუ მონადირე სადმე თავს დაესხმის იმათ, წეროე-ბი თავის დღეში აღარ დაბრუნდებიან ამ ადგილას. თუ კი მოისურვეს დაბრუნება, წინდაწინ ერთ მზვერავს გამოგზავ-ნიან: მის შემდეგ კი მზვერავების მთელ გუნდს. ამ გუნდი-საგან მოტანილ ამბავსაც არ ენდობიან და მზვერავების ახალ რაზმს ჰგზავნიან მათთვის სასურველ ადგილის ყოველმხრივ დასათვლიერებლად და მხოლოდ მათგან მოტანილ კარგი ამბის შემდეგ მრავლად მოეფინებიან ამ ადგილს.

მათი ჯიშის მონათესავე ფრინველებთან წეროებს მე-გობრობა აქვთ. ტყეობაში კი წერო აღამიანის ნამდვილი მეგობარია. ამ მხრივ იგი ძალიან წააგავს თუთიყუშს, ამ დიდად გონება-მახვილსა და საზოგადო ცხოვრებას ჩვეულსა და მოყვარულ ფრინველს. ცნობილი მკვლევარ-მეცნიერი ბრემი, რომელმაც მრავალმხრივ შეისწავლა ფრინველების ცხოვრება, შემდეგ საგულისხმო აზრს გვიზიარებს: „წეროს

ადამიანი ბატონ-პატრონად კი არა, ნამდვილ მეგობრად შიანია და სცდილობს დაუმტკიცოს ეს მეგობრობა».

წერო დილიდან საღამომდის დაულაღაველ მოძრაობს. დილ-დილას, რამდენიმე საათის განმავლობაში, იგი საკვებს ეძებს, უმთავრესად მცენარეულობას. დანარჩენ დროს კი საზოგადო ცხოვრებასა და თამაშობაშია გართული: იღებს მიწიდან კენჭებსა და ხის ნატეხებს, ააგდებს ჰაერში და ცდილობს დაიჭიროს, კისერ-წაგძელებული და ფრთებ-განრთხმული ლამაზად ცეკვავს, ხტუნაობს, სდევს თავის მოძმეებს და ცდილობს დაიჭიროს; ყოველთვის კარგ, ხალისიან გუნებაზეა და მშვენიერი, მოხდენილი ფრინველის სურათს წარმოადგენს.

თავისი მახვილი გონებისა, დიდი სიფრთხილისა და მოძმეებთან მტკიცე კავშირისა და საურთიერთო დახმარების წყალობით წეროს მტრების არ ეშინია და დიდხანს ცოცხლობს.

რადგან წერო მტრებისაგან თავდაცულია, არ ეშინია, რომ მისი ჯიში მოისპობა. არ სცდილობს, რომ ძალიან გამრავლდეს და მხოლოდ ორ კვერცხსა სდებს. ვისაც წეროების ყოფა-ცხოვრება შეუსწავლია, ყველა ერთმანად ამტკიცებს, რომ მათი გამკრიახი გონება ადამიანის გონებას წააგავს.

მეორე ფრინველი, საზოგადო ცხოვრების დიდად მოყვარული, თუთიყუშია. თავისი მახვილი გონებით იგი ფრინველების ნამდვილი მეფეა. ბრემი ასე მოგვეთბრობს იმის აშბავს.

თუთიყუშები მრავლად და ერთად ცხოვრობენ. სამკვიდრო ბინად ერთ რომელსამე ადგილს ირჩევენ ტყეში და იქიდან დილ-დილას გაემგზავრებიან ხოლმე სანადიროდ. გუნდის ყველა წევრებს მზურვალე მეგობრობა აქვთ ერთმანეთში: თვითველი მათგანის კირსა და ლხინს ყველა იზიარებს. დილას ყველანი ერთად მიფრინავენ სადღე მინდორში, ან ბაღში, რათა ერთად დასტკბენ ხეხილის ნაყოფით. ალაგ-ალაგ

დარაჯებს აყენებენ მტრებისაგან თავდასაცველად და მათგან მოცემულ ნიშნებს დიდის ყურადღებით ეკიდებიან. თუ რამე საფრთხე მოელით, ყველანი ერთად აფრინდებიან და თავის ბინაზე ბრუნდებიან ხოლმე. თუთიყუშები ყოველთვის ერთად ცხოვრობენ, მტკიცე კავშირი აქვთ ერთმანეთში.

სხვა ფრინველებთანაც სიამოვნებით ატარებენ დროს თუთიყუშები. ინდოეთში ჩხიკეები და ყვავეები შორიდან მოდიან თუთიყუშებთან სტუმრად და მათთან ერთად დროს ატარებენ ბამბუკის ტყეში: ძალიან უყვართ მათი ხალისიანი საზოგადოება.

საკვების ძებნის დროს თუთიყუშები გონების უდიდეს გამპრიახობასა და სიფრთხილეს იჩენენ. მსწრაფლ მოისაზრებენ ხოლმე, რა ადგილას არიან და როგორ უნდა იმოქმედონ ადგილობრივ გარემოების მიხედვით. მაგალითად აესტრალიაში არის ერთი ჯიში თუთიყუშებისა, რომელსაც კაკაღუს უძახიან. სანამ პურის ყანას შეესეოდნენ, ისინი წინდაწინ მზვერავეებს ჰგზავნიან, რომელნიც ყანის ახლო-მახლო ხეების უმაღლეს კენწეროებზე სხდებიან. მზვერავეების მეორე გუნდი იმ ხეების კენწეროებზე ჯდება, რომლებიც ყანისა და ტყის შუა დგანან, სადაც თუთიყუშების ჯარი იმალება. ყანის მზვერავეები ამ შუა ალაგის მზვერავეებს გადასცემენ ამბავს, ესენი კი თავის მხრივ ტყეში დამალულ მოძმეებს აცნობებენ ყველაფერს.

როცა მზვერავეების ორივე გუნდი აცნობებს ტყეში დამალულ თუთიყუშებს, ნუ გეშინიათ, მტერი არსადა სჩანს, მოლით—შევესიოთ პურის ყანასაო, თუთიყუშები კიდევ ერთ გუნდს გამოაფრენენ ხოლმე ტყიდან ახლო-მახლო ადგილების მაღლიდან დასაზვერავად და მხოლოდ შემდეგ მიფრინავენ ერთად პურის ყანისაკენ.

აესტრალიის მცხოვრებლებს ძალიან უკვირთ თუთიყუშებთან ბრძოლა, ვერ ახერხებენ მათ მოტყუებას. თუ მოახერხეს, მოატყუეს და მოჰკლეს, ან დაიჭირეს რამდენიმე თუ-



თიყუში, დანარჩენი თუთიყუშები იმ წამსვე მიხედებიან, რაში იყო საქმე და შემდეგ ამგვარი ხერხით მათი მოტყუება შეუძლებელია.

უეჭველია, რომ საერთო ცხოვრებისა და ძმური კავშირის წყალობით მიალწიეს თუთიყუშებმა თითქმის ადამიანურ გონებისა და გრძნობის სიმახვილეს. გამოცდილი მეცნიერები ზოგიერთი ჯიშის თუთიყუშს, განსაკუთრებით კი მოხუცებულ თუთიყუშებს, ადამიან თუთიყუშებს უძახიან.

რამდენად უყვართ თუთიყუშებს ერთმანეთი, შემდეგ მაგალითიდან ცხადად სჩანს: თუ მონადირემ მოახერხა და მოჰკლა ერთ-ერთი თუთიყუში, მისი ამხანაგები არ ჰშორდებიან იმ ადგილს, ჰაერში ჰფრენენ, მწარედ გაჰკივიან და იმავე მონადირის მსხვერპლად ხდებიან.

როცა თუთიყუში თავის ამხანაგთან ერთად ტყვეობაშია, ვერ იტანს ამხანაგის სიკვდილს და ჯავრისაგან თვითონაც კვდება.

მტრებისაგან თავის დასაცველად მაგარი ბრქვალეები და მახვილი ნისკარტი კი არ ჰშეველის თუთიყუშებს, არამედ ერთად ცხოვრება, ერთმანეთის დახმარება.

ველური მხეცები და ფრინველები ვერ ჰხედავენ თუთიყუშებზე თავდასხმას, პატარა თუთიყუშების ჯიშსაც ვერაფერს აკლებენ. ბრემი ამტკიცებს, რომ წეროების, მაიჟუნების და თუთიყუშების ერთად-ერთი საშიშარი მტერი—ადამიანია, სხვა მტრების კი იმათ სრულებით არ ეშინიანთო. საკვირველიც არ არის ამიტომ, რომ თუთიყუშები დიდხანს—სამას წლამდისაც ცხოვრობენ. თუთიყუში, თუმცა ყოველ წუთს ავარჯიშებს თავისი სხეულისა და გონების ძალებს, ღრმა სიბერემდის მხნედ არის თვალის და გონებაც კარგად უჭრის.

ნათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ საურთიერთო ბრძოლა ბუნების უძლეველი კანონი არ არის. არის მაზე უფრო ძლიერი კანონი საურთიერთო დახმარებისა, რომელმაც დაიცვა და იცავს ფრთოსანთ და სხვა ცხოველებს სრული დაღუპვისა და განადგურებისაგან.

ვაზაფხული რომ დადგება, თბილ ქვეყნებში საზამთროდ გადახიზნული ფრინველები მრავლად თავს შოიყრიან ხოლმე და ძალ-ღონითა და სიხარულით აღსავსენი ჩრდილოეთისაკენ მიფრინავენ, სადაც თავისი შთამომავლობა უნდა გამოჩეკონ. განა შესაძლებელი იქნებოდა ეს შორი და სახიფათო მგზავრობა, ფრინველთა შორის საურთიერთო დახმარება რომ არ იყოს მტკიცედ დაცული?

აი, მაგარი კლანჭებითა და ბასრი ნისკარტით შეიარაღებული მტაცებელი ფრინველი გამოჩნდა. წუწკ თვალს ავლებს ის პაწია მერცხლების გუნდს და სამტროდ უახლოვდება. დარაჯები იმ წამსვე ნიშანს აძლევენ ამხანაგებს. მერცხლები მრავლად ესევიან მტაცებელს. ისეთი თავზარდამცემი ქრიაშული ატყდება ხოლმე, რომ მწლავრი მტერი გარბის ბრძოლის ველიდან. პაწია ჩიტებმა აჩვენეს მას ერთობის ძალი.

ზღვაზე იხვების გუნდი დაკურავს. მაღლიდან იმათ თვალს ავლებს ზღვის არწივი და ერთბაშად შურდულივით დაეშვება ზღვაზე, რომ ერთ-ერთი მსხვერპლი ხელთ იგდოს. იხვებმა დროზე დაინახეს მოსისხლე მტერი და ერთ წუთში გაქრნენ ყველანი—წყალში ჩასძირეს. არწივი საბტად დარჩა.

თუ ქორი დააფრინდა იხვებს, ისინი წყალში არ იმალებიან, ისედაც ვავდენითო,—ფიქრობენ თავის გულში. ერთად თავმოყრილი იხვები ფრთების ძლიერი ფართხალით გარეშემო წყალს აფორიაქებენ, წინწყალების ისეთ კორიანტელს აყენებენ, რომ ქორს ნამდვილ ჯოჯობეთად ეჩვენება და თავზარდაცემული გარბის.

ერთი საყურადღებო მოვლენა აღმოაჩინეს მეცნიერებმა ფრთოსანთა სამეფოში. თუ რომელსამე ჯიშს არა ჰყავს ჰკვიანი, გონება—მახვილი და ფრთხილი წინამძღოლი, ეს წინამძღოლი სხვა ჯიშიდან გამოდის და ბელადობს თავის შორეულ ნათესავების ჯიშს.

ბევრი მტრები ჰყავთ ფრინველებს და უფრო სუსტნი მათ შორის რასაკვირველია ყოველთვის უვნებლად არ გა-

დურჩებიან ხოლმე დიდ მოძალადეებს. ძალიან საყურადღებოა, როგორ ექცევიან ფრინველები ობლებს, რომელთაც მტერმა შშობლები მოსტაცა. ერთმა მეცნიერმა შეისწავლა ამ მხრივ გარეულ ბატების ცხოვრება. მონადირემ რამდენიმე ბატი მოჰკლა. დარჩნენ უმწეო პაწია ობლები. მიმართეს ერთ დედალ ბატს, უთუოდ იმ აზრით, რომ დედობა გაეწია მათთვის. თავის — კერძო ბატმა უსირცხვილოდ გადენა ისინი. მეორე დედალმა ბეტმა კი შეიბრალა საწყალი ობლები, იშვილა ისინი და ისეთავე სიყვარულით უვლიდა, როგორც საკუთარ ბარტყებს.

განსაკუთრებული მტკიცე კავშირია ფრინველებს შორის იმ დროს, როცა ისინი ბუდეებს აკეთებენ. სკდილობენ ყოველთვის, რომ ეს ბუდეები ერთმანეთს დაშორებული არ იყოს, რათა გასაჭირის დროს საურთიერთო დახმარება გააჩაღონ. ხეები საესეა ყვაეებისა და ღობეები — პაწია ჩიტების ბუდეებით. მერცხლები ერთმანეთთან ახლოს იკეთებენ საოჯახო ბინას. ღამის ფრინველთა ბუდეები მრავლად მოიპოვება ძველ კოშკებსა და ნანგრევებში. პაწია ჩიტები ისე კარგად გრძნობენ ერთობის ძალას, რომ ზოგჯერ ერთგვარ თავხედობასაც იჩენენ. მეცნიერ ქუესს მოჰყავს ერთი საოცარი მაგალითი. პაწია მეცხლებმა გაიკეთეს ბუდე თავისი მოსისხლე მტრის შავარდენის ბუდის ახლოს. შავარდენის ბუდე ძველი ეკლესიის გუმბათის წვერზე იყო, ქვეშ კი, გუმბათზე, მერცხლებმა თავისი ბუდეები გააკეთეს. ისეთი გულადი დარაჯები ჰყავდათ მერცხლებს, ისე უშიშრად ეძგერებოდნენ ხოლმე შვეარდენს, როცა ის მერცხლებზე თავდასხმას დააპირებდა, რომ მტაცებელ ფრინველს ბოლოს და ბოლოს მოსწყინდა ასეთი ყოფა: მიატოვა თავისი ბუდე და სადღაც შორს გადაიხიზნა.

ფრთოსნები, როცა შორ ქვეყანაში დააპირებენ გამგზავრებას, ადვილად როდი გადასწყვეტენ ხოლმე ამ საქმეს. ფრინველთა სხვა-და-სხვა ჯიში ორი სამი თვის განმავლობაში

რამდენჯერმე თავს მოიყრის დანიშნულ ადგილას. რამდენიმე ათასი ფრინველი ერთადაა შეგროვილი. არე-მარე კოცხალი ქრიაშულითაა სავსე. უთუოდ ბკობენ, ბაასობენ იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგენ, როგორ მოაწყონ ძნელი მგზავრობა: წინასწარი თათბირი აქვთ.

უფრო სუსტნი სამგზავროდ გამზადებულ ფრინველთა შორის ფრენაში ვარჯიშობენ, რომ ფრთები გიმიგრონ. გამოკდილი და ღონიერი ფრინველები იმათ ხელმძღვანელობას უწევენ. როცა მგზავრობის დრო დადგება, თუ ყველა არ არის თავმოყრილი, ფრინველთა ურიცხვი ჯარი არ დაიძვრის ადგილიდან: დაგვიანებულ ამხანაგებს უცდიან. ალბად იციან, როგორ გაუქირდებათ მათ მარტო მგზავრობა ან უამხანაგოთ დარჩენა. მგზავრობის დროს უფრო ძლიერი ფრთოსნები ბელადობენ სხვებს, წინ მოფრინავენ, ამხანაგებს გზას უჩვენებენ. დიდი ფრინველები და პატარა ჩიტები ხშირად ერთად მგზავრობენ და ერთმანეთს ეხმარებიან. მაგალითად წეროების გადაფრენის დროს მათ შუა ტოროლების გუნდი აღმოაჩინეს.





ქ ვ ე ლ ი ა მ ბ ა ვ ი

(გვიჩინა სოფ. ქუროპი ალ. ვერხვოვსკის)

ერთხელ მეფე ერეკლე II ეწვია ქართლში ერთ გლეხს შხამოშვილს ხუთასი ცხენოსანით. მასპინძელი ისე დაუხვდა ამოდენა ხალხს, რომ მათთვის საჭირო ყოველისფერი თავის ოჯახში ჰქონდა.

მეორე დღეს მეფე ეწვია მეორე სოფელში წიწრიაშვილს; თან ახლდა პირველი მასპინძელი შხამოშვილიც.

წიწრიაშვილიც ისე დაუხვდა, რომ მეზობლისას გასვლა რამე საჭირო საგნისთვის, თუ სანოვაგისათვის არ დასჭირებია.

როდესაც სუფრაზე ისხდნენ, წამოწვიმა. მასპინძელი გავიდა გარედ და მოსამსახურეთ დაუყვირა: „აბა, ბიჭებო ცხენები დაჩუღეთო“. მისი ბრძანება უმაღლესი შესრულებული.

მეფე მიუბრუნდა შხამოშვილს და ჰკითხა:

— შენ უფრო მდიდარი ხარ თუ ვგაო?

— ეს პური—პურშიო, საკლავი—საკლავშიო, ღვინო—ღვინოშიო, მაგრამ ამოდენა ჩუღები კი არა მაქვსო, — გულახდილად უპასუხა შხამოშვილმა მეფეს.

o. ხუციშვილი

№ 1
თარგმანული
გაზეთი

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი გ. ნადირაშვილის მიერ)




ბავშვები
სადი სწავ-
ლობდა.

ბ



ბ



ბ



ბ
ბ
ბ



ბ

კიანქვე-
ლა
არის?



ბ ბ

„ნაკადული“-ს რედაქციაში



თბილისში
1927 წლის ივნისი

და

წიგნაკრების საგზაბაღოების წიგნის მალაჩიში იყიდება შემდეგი წიგნები:

- 1) **ტომის თავგადასავალი**, — თბ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) **რას გვიამბობს ოთახი**, — თბ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) **საყმაწვილო მოთხრობები**, — ნინო ნაკაშიძის ფასი 10 კ.
- 4) **სკრუჯი და მარლეი**, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ჯ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი 30 კ.
- 6) **ბავშვობა და სიყრმე**, — მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 7) **ორი მხატვარი**, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) **სამშობლო ბუნების სარკე**, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი 30 კ.
- 9) **შობა**, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი**, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაქავარიანისა, ფასი 5 კ.
- 11) **დათო**, — ირ. ევლოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი 5 კ.
- 12) **მოთხრობები**, — ლაგეროეფისა და სხვა უცხო მწერლებისა 5 კ.
- 13) **იგავ-არაკნი**, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. შირიანაშვილისა, ფასი 75 კ.
- 14) **ბიძია თომასი კონტი**, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა. 1 მ. 25 კ.

თბილისი

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.

დასურათებ ული საყმაწვილო ჟურნალი

საქართველოს
ხელის მოწერის

წელიწადი
შეცამება.

„ნაკადული“

წელიწადი
შეცამება.

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურნალი გამოცემის თვეები ორჯერად

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფსიქოლოგიისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.** —იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **8 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пер. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ტინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ქავჭავაძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი ბ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.